საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 20 სექტემბერი, 2014 წელი.

№192 (7573)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

რევოლუციას სარევოლუციო ვითარება სჭირდება, ასეთი ვითარება კი ჯერ არ არის!

4

„ჩემი მინისტრობის დროს იყო მეტი ქაოსი, მაგრამ უფრო დაცული იყო ადამიანის უფლებები, ნაციონალური მოძრაობა იცავს საზოგადოების უსაფრთხოებას, ოღონდ ადამიანის უფლებების შელახვის ხარჯზე“, — დაახლოებით ასე ფიქრობდა შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი კობა ნარჩემაშვილი 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებამდე. რას ფიქრობს იგი დღევანდელ რეალობაზე?

მიხეილ სააკაშვილისა და მისი ოჯახის ქონება დაყადაღებულია

მიხეილ სააკაშვილის ადვოკატის ოთარ კახიძის ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილის და მისი ოჯახის კუთვნილი ქონება დაყადაღებულია.

მიხეილ სააკაშვილის ადვოკატი იმ ქონების ჩამონათვალს ასახელებს, რომელიც ყოფილ პრეზიდენტს და მის ოჯახს დაუყადაღდა. როგორც ადვოკატმა ოთარ კახიძემ განაცხადა, დაყადაღებულია მიხეილ სააკაშვილის , მისი მეუღლის, შვილების, დედის, მამის და ბებიის ქონება.

ადვოკატის თქმით, დაყადაღებულია ყვარელში სააკაშვილის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწა, რომლის ფართობიც 2 ჰექტარზე ნაკლებია, ასევე ყვარლის საცხოვრებელი სახლი 75 კვადრატული მეტრის ფართით; ბებიის მზია წერეთლის 500 კვადრატული მეტრი ნაკვეთი ოზურგეთში და მისი 10 წლის ავტომობილი „ტოიოტა რავ“-4; ასევე დედის, გიული ალასანიას საკუთრებაში არსებული 0.2 ჰექტარზე ნაკლები ფართობის მიწის ნაკვეთი ყვარელში; მეუღლის სანდრა რულოვსის საკუთრებაში არსებული ბინა და მანსარდა თბილისში; ბებიის საკუთრებაში არსებული მშენებარე ბინა თბილისში და 17 წლის ავტომობილი „ჰონდა აკორდი“.

ერთი - ალთას, მეორე - ბალთას,

ანუ რატომ არის უმჯობესი, რაც შეიძლება მალე ისეთი კრიზისის შექმნა, უფრო აზრიანად ქმედებას რომ გვაიძულებს



3

პარლამენტი 1 155 600-ლარიან ავტოსადგომს ყიდულობს

2

იარაღის უკანონოდ ტარება 6 წლამდე პატიმრობით დაისჯება

5

◎ კვირაძალს საკითხავი

რას და რატომ ვინარჩუნებთ წარსულიდან

6

7

ასე კლავდნენ საქართველოში...

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

პრემიერ-მინისტრი უკრაინისთვის ჰუმანიტარული დახმარების საკითხით დაინტერესდა

უკრაინელი ბავშვების საქართველოში ჩამოყვანის შესახებ ინფორმაცია პრემიერ-მინისტრს მთავრობის სხდომაზე დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გელა დუმბაძემ მიაწოდა.

სახელმწიფო მინისტრმა პრემიერს განუმარტა, რომ უკრაინელი ბავშვები უკვე საქართველოში იმყოფებიან და ისინი ქართველმა თანატოლებმა თბილად მიიღეს.

„ეს არის იმ ჰუმანიტარული დახმარების მეორე ეტაპი, რომელსაც საქართველო უკრაინას უწევს“, — განაცხადა მინისტრმა.

მთავრობის მეთაურმა უკრაინაში მედიკამენტების გაგზავნის საკითხთან დაკავშირებით განმარტება ჯანდაცვის მინისტრსაც სთხოვა. დავით სერგეენკომ პრემიერს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ჰუმანიტარული დახმარება უკვე კიევშია და უკრაინელ კოლეგასთან მუდმივი კონტაქტი აქვს.

სასოფლო-სამეურნეო მიწებს თავისუფლად ვერ შეისყიდიან

მთავრობამ უცხოელებზე სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისების ახალი წესები დაამტკიცა. როგორც პრესკონფერენციაზე იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა, ამ ცვლილების თანახმად, სასოფლო-სამეურნეო მიწებს საქართველოში ვეღარ შეისყიდის უცხოეთში დაფუძნებული კომპანია ან სხვა იურიდიული პირი.

„სასოფლო-სამეურნეო მიწების გასხვისება უცხოელ ფიზიკურ პირზე ან უცხოურ კომპანიაზე, თუნდაც ის საქართველოში იყოს დაფუძნებული, ვერ მოხდება საქართველოს საზღვრის მიმდებარე ხუთკილომეტრიან ზოლში და მთავრობის მიერ დადგენილ შესაბამის ზონაში. სასაზღვრო ზოლსა და ამგვარ ზონებში ვერც ერთი ფიზიკური პირი ან უცხოური კომპანია სასოფლო-სამეურნეო მიწას ვერ შეისყიდის. სამაგიეროდ, უცხოელი, რომელიც მემკვიდრეობით მიიღებს სასოფლო მიწას, შეიძლება გახდეს ამ მიწის მესაკუთრე. ეს ბევრ ჩვენ თანამემამულეს, რომელმაც დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა, მაგრამ მიიღო სხვა ქვეყნის მოქალაქეობა და დღეს უცხოელად ითვლება, საშუალებას მისცემს მისი წინაპრების მიერ მემკვიდრეობით დატოვებული სასოფლო-სამეურნეო მიწები მიიღონ საკუთრებაში“, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

მისივე განმარტებით, შერეული ქორწინების შემთხვევაში, როდესაც საქართველოს მოქალაქე არის ერთი მეუღლე, ხოლო მეორე მეუღლე არის უცხოელი, სასოფლო-სამეურნეო მიწა შესაძლებელია იყოს მეუღლეთა საკუთრებაში. წულუკიანის განცხადებით, განქორწინების შემთხვევაში საქართველოს მოქალაქეს ეძლევა უფლება უპირატესი შესყიდვის წესით დაეუფლოს თავისი ყოფილი უცხოელი მეუღლის ქონებას, რომელიც არის სასოფლო მიწა.

◎ „ქამრების შემოჭერის“ ნაცვლად

პარლამენტი 1 155 600-ლარიან ავტოსადგომს ყიდულობს

პარლამენტი 1 155 600 ლარად ღირებული ავტოსადგომის ყიდვას აპირებს. ამ მიზნით განსახორციელებლად საკანონმდებლო ორგანოში შესაბამისი პროცედურები უკვე დაწყებულია. დეპუტატებმა დადგენილება მიიღეს, რომლის გათვალისწინებითაც, საკანონმდებლო ორგანო ეკონომიკის სამინისტროს 2014 წლის ბიუჯეტიდან 1 155 600 ლარს გადაურიცხავს, უწყება კი, ამ თანხით 77 ავტომობილის დასაყენებლად ფართს შეიძენს. კერძოდ, საუბარია, პირველი სკოლის უკან მდებარე ახალი საცხოვრებელი კომპლექსის ნულ სართულზე ფართის შეძენაზე, რის თაობაზეც პოლიტიკურ ძალებში აზრთა სხვადასხვაობაა.

უმცირესობა აცხადებს, რომ უამრავი პრობლემის ფონზე ზრუნვა იმაზე მიდის, დეპუტატების მანქანები სად დადგეს, უმრავლესობა კი, წინა ხელისუფლების მიერ დადებულ შეთანხმებაზე აპელირებს.

for.ge-სთან საუბარში დეპუტატი ზურაბ ტყემალაძე იმ შეთანხმებაზე საუბრობს, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს დაიდო. დეპუტატის ინფორმაციით, ავტოსადგომი 77 მანქანის განთავსებაზე იქნება გათვლილი.

„სამშენებლო კომპანიას პირველი სკოლის უკან ტერიტორია იმ პირობით გამოუყვეს, რომ ერთი სართული ივჯარით პარლამენტს გადაეცემოდა, ამის სანაცვლოდ კი უწყებას ყოველთვიურად გადასახადი უნდა ეხადა. უკეთესი შესაძლებლობა მოვძებნეთ. სჯობს, თანხა ერთიანად გადავიხადოთ და ეს ბევრად უფრო იაფი გვიჯდება, ვიდრე ივჯარით ფართის აღება“, — აცხადებს ტყემალაძე.

კანონმდებლის ცნობით, აღნიშნული კომპლექსი „კაპიტალ ვოსტოკმა“ ააშენა, რომელმაც კორპუსი გაყიდა, მაგრამ იმ პირობით, რომ ფართი პარლამენტს გადაეცემოდა.

„წინა ხელისუფლებას სწორი გაუკეთებია, რომ პარლამენტს ავტოსადგომი გამოუძებნა. იცით, რომ პარლამენტთან მანქანის შეჩერებაც კი რთულია, არათუ, დაყენება“, — დასძენს ტყემალაძე, რომლის მსგავსად, ავტოსადგომის შესყიდვის სურვილს იწონებს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნოდარ ებანოიძე.

კანონმდებელი for.ge-სთან საუბარში აღნიშნავს, რომ პარლამენტი შეუძლებელია პარკინგის გარეშე იყოს.

ებანოიძის თქმით, ეს სადგომი ყველას სჭირდება.

„პარლამენტისთვის დაგეგმილი ხარჯებიდან რაღაც მოვიკელით და ეს გავაკეთეთ. მაგალითად, რა მოვიკელით? — წლეულს ავტოპარკის განახლება იგეგმებოდა, მათი შენახვა უკვე ზარალიანიც კი არის, მაგრამ ეს საქმე გადავდეთ. ავტოსადგომს ამ მოწვევის პარლამენტისთვის არ ვყიდულობთ მხოლოდ. ამით, სხვა მოწვევის პარლამენტებიც ისარგებლებენ. სახელმწიფო, ფაქტობრივად, აქტივს ყიდულობს, რომელსაც გაუფასურება არ ემუქრება. ამასთანავე, პარლამენტს თუ დასჭირდება, ავტოსადგომს გაყიდის კიდეც. რა შუაშია აქ, „ქამრის შემოჭერა“ და ასე შემდეგ“, — განგვიცხადა ებანოიძემ, რომელსაც ვკითხეთ, უპრიანი ხომ არ იქნება, დეპუტატებმა ხარჯების გაწევის ნაცვლად, „ქამრები შემოიჭირონ“.

რაც შეეხება აღნიშნულ კომპლექსს, მისი მშენებლობა წლების წინათ დაიწყო და ამის წინააღმდეგ გამოდიოდა „ჰამქარი“, რომელიც თვლიდა, რომ კორპუსი რუსთაველის გამზირის იერსახეს აუშნოვებდა. აღსანიშნავია, რომ ამ კომპლექსში თაბუკაშვილის ქუჩაზე დანგრეული ბინის მფლობელების განთავსებაც იგეგმება.

თეონა მანაგაძე

◎ დედაქალაქი

„დავასუფთაოთ საქართველო“

თბილისის მერმა დავით ნარმანიამ დასუფთავების აქციაში — „დავასუფთაოთ საქართველო“ მონაწილეობა მიიღო. დავით ნარმანიამ, აქციის მონაწილეებთან ერთად, ნარიყალაზე, ქართლის დედის ქანდაკების მიმდებარე ტერიტორია დაასუფთავა.

მათივე ინფორმაციით, სამდღიან აქციაში გარემოსდამცველ ორგანიზაციებთან ერთად ჩართულები არიან თბილისის საგანგებო სიტუაციების მართვისა და დასუფთავების სამსახურები.

„დედაქალაქის დასუფთავებაზე ზრუნვა თითოეული ჩვენგანის ვალია. ყველამ უნდა იზრუნოს, რომ ქუჩაში არ დავყაროთ, არ დავტოვოთ ნარჩენები. ჩვენ, ჩვენი მხრივ, ძალიან აქტიურ ქმედებებს ვიწყებთ. იქნება ეს დედაქალაქში დამატებითი ურნების დადგმა, მასშტაბური აქციები, საინფორმაციო კამპანია თუ სხვადასხვა სახის ღონისძიებები. სუფთა ქალაქი ჩვენი ჯანსაღი ცხოვრების წესად უნდა ვაქციოთ“, — განაცხადა თბილისის მერმა.

მერიის ინფორმაციით, აქციაში მონაწილობდნენ შვედეთის ელჩი საქართველოში მარტინა კვიკი, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის წარმომადგენლები.

აქციას „დავასუფთაოთ მსოფლიო — დავასუფთაოთ საქართველო“, შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) ფინანსური უზრუნველყოფით, თბილისის მერიისა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, არასამთავრობო ორგანიზაციათა კონსორციუმი — „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა დედამიწის მეგობრები/საქართველო“, მდგრადი განვითარების კავშირი „ეკოხედვა“ და საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“ ახორციელებენ.

მერია სესხს აუცილებლობის შემთხვევაში აიღებს

ამის შესახებ თბილისის მერმა დავით ნარმანიამ განაცხადა. მისი თქმით, სესხის აღებასთან დაკავშირებით თანხმობა ცენტრალურმა მთავრობამ მერიას ორი კვირის წინათ მისცა.

„თუმცა, ჩვენ სესხს ავიღებთ იმ შემთხვევაში, თუ წლის ბოლოს დეფიციტი იქნება და ამის აუცილებლობა დადგება. ჯერჯერობით ჩვენ გვაქვს მიმდინარე ნაშთი შესაბამის ანგარიშზე, ანუ თბილისის მერიის ანგარიშზე და იქიდან ვხარჯავთ. ბიუჯეტში ცვლილება დამტკიცდა და შესაბამისად, ახლა უკვე შეცვლილი ბიუჯეტით შეგვიძლია, ვიმუშაოთ და მივაწოდოთ საზოგადოებას ის აუცილებელი ჯანდაცვითი და სოციალური მომსახურება, ასევე სხვა მომსახურება, რომელსაც ისინი ელოდებიან“, — განაცხადა ნარმანიამ.

მანვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ რაიმე სახის მომსახურებაზე თბილისელებს შეფერხება არ ექნებათ და მათ ყველა შესაბამისი დახმარება მიეწოდებათ, ასევე ყველა ოპერაცია დაუფინანსდებათ, რაც მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე ეკუთვნით.

მიუსაფართათვის თავშესაფარს ააშენებენ

თბილისის მერიამ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსგან მიუსაფართა თავშესაფრის მშენებლობის პროექტი გადაიბარა, რადგან ეს საკითხი თვითმმართველობის ახალი კოდექსით მუნიციპალიტეტის უფლებამოსილება გახდა.

„აქედან გამომდინარე, საპროექტო სამუშაოები, რომელიც სამინისტრომ შეასრულა, ჩვენ გადმოგვეცა გასულ კვირას. შესაბამისად, გამოვაცხადებთ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერს მშენებლობაზე, რომ სწრაფად დავიწყოთ ახალი თავშესაფრის მშენებლობის საკითხი“, — განაცხადა ნარმანიამ.

მისივე თქმით, მას შემდეგ, რაც ახალი თავშესაფარი აშენდება, ე.წ. კარვების ქალაქი დაიხურება და იქ მყოფი ადამიანები თავშესაფარში გადავლენ.

◎ ინფორმაცია

პუტინი რუსეთის გლობალური ინტერნეტიდან გათიშვას გეგმავს

რუსეთის უშიშროების საბჭო პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მონაწილეობით ქვეყნის გლობალური ინტერნეტიდან გათიშვის შესაძლებლობას განიხილავს. ამის შესახებ ინფორმაციას რუსული მედია ავრცელებს.

„ვედომოსტის“ ინფორმაციით, ამ საკითხს რუსეთის უშიშროების საბჭოს სხდომაზე 22 სექტემბერს განიხილავენ.

ეს იქნება დროებითი ზომა სამხედრო მოქმედებების ან რუსეთში სერიოზული საპროტესტო გამოსვლების შემთხვევაში.

გარდა ამისა, უშიშროების საბჭოს სხდომაზე რუსეთის მთავრობა გეგმავს, განიხილოს ადმინისტრაციული დომენის სახელმწიფო ორგანიზაციაში გადაცემის საკითხი.

ერთი – ალთას, მეორე – ბალთას,

ანუ რატომ არის უმჯობესი, რაც შეიძლება მალე ისეთი კრიზისის შექმნა, უფრო აზრიანად ქმედებას რომ გვაიძულებს



პრეზიდენტს, პრემიერსა და პარლამენტს შორის შექმნილი სიტუაცია მუდმივად მთავარ თემად რჩება. სწორედ ამიტომ, ნელ-ნელა მწიფდება აზრი, ხომ არ ვიჩქარეთ საპარლამენტო მმართველობის მოდელზე გადასვლა და პრობლემას ბევრად ღრმა ფესვები ხომ არ აქვს, ვიდრე ეს პრეზიდენტსა და პრემიერს შორის ზოგჯერ ღიმილისმომგვრელ თემებზე კინკლაობაა?

როგორც ექსპერტი, კახა გოგოლაშვილი აღნიშნავს, ახლა უკვე გვიანია კონსტიტუციური მოდელის ავ-კარგიანობაზე საუბარი, ეს უკვე ჩავლილი თემაა, რადგან ახლა ველარაფერი შეიცვლება. **„მე პირადად, ყოველთვის მომხრე ვიყავი ძლიერი საპრეზიდენტო მმართველობისა ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა“,** – აცხადებს იგი.

კახა გოგოლაშვილის განმარტებით, 1990-იან წლებში, როდესაც საქართველოს კონსტიტუცია იქმნებოდა, ამერიკელების მხარდაჭერით ჩამოყალიბდა საპრეზიდენტო რესპუბლიკის მოდელი. ეს ჰგავს ამერიკულ მოდელსაც და მათთვის უფრო მოსახერხებელიც იყო ურთიერთობა. მეორე მხრივ, სწორად ხედავდნენ სიტუაციას და ამაზე უამრავი კვლევა და ნაშრომიც არსებობს, რომ ტრანსფორმაციაში მყოფ ქვეყანაში, რომელშიც ჯერ არ არის ჩამოყალიბებული დემოკრატიული საზოგადოება, პოლიტიკური პარტიები სუსტია, ბევრად უფრო მარტივია რომელიმე ერთი პიროვნებისთვის ლეგიტიმურობის გადაცემა და პასუხისმგებლობის მიკუთვნება.

ექსპერტ რამაზ საყვარელიძის განმარტებით, იშვიათად ისმის ეს საკითხი, ასე თავგადაკლულები რომ დავიძარით საპარლამენტო რესპუბლიკისკენ, სწორია საერთოდ ეს მიმართულება?

„ეს გაუგებრობა წესით, ჩვენ არ უნდა გაგვეგო და ერთმანეთთან მოლაპარაკებით უნდა გადაეწყვიტათ მოქმედ პირებს. ამგვარი გაუგებრობები საპარლამენტო რესპუბლიკაში უამრავი იქნება, ანუ ისეთი პროცესები, სადაც დიდი მნიშვნელობა აქვს თანამშრომლობის, მოლაპარაკების კულტურას“, – მიიჩნევს რამაზ საყვარელიძე.

მისივე განმარტებით, ამიტომ არის, რომ ამერიკამ, რომელმაც შესანიშნავად იცოდა ევროპული დემოკრატია, თავის საფუძვლად აიღო მაინც საპრეზიდენტო რესპუბლიკა, რადგან იმ პოლიტიკურმა კულტურამ, რომელიც ევროპას მოსდევდა, მონარქიასთან ბრძოლამ, რევოლუციებმა ინგლისში, საფრანგეთში და ა.შ. პოლიტიკური სპექტრი გამოაწრთო და პოლიტიკური კულტურა ამ საზოგადოებებში გაზარდა, რაც მიგრანტებისგან შემდგარ ქვეყანას იმ დროს არ გააჩნდა.

„ამგვარი კულტურის გარეშე საპარლამენტო რესპუბლიკის შექმნა თავისთავად, საფრთხეს შეიცავდა. ამერიკელმა კონსტიტუციის მამებმა ეს გაითვალისწინეს და აირჩიეს საპრეზიდენტო მმართველობა, სადაც აღმასრულებელ ხელისუფლებას ირჩევს ხალხი და ის თავის საქმეს აკეთებს, რომელსაც საპარლამენტო ხელისუფლება აკონტროლებს, კანონებს სთავაზობს და ა.შ. ანუ კრიზისის გამომწვევი მექანიზმი პრაქტიკულად, არ დატოვეს“, – განმარტავს რამაზ საყვარელიძე.

მისივე შეფასებით, ამ შემთხვევაში საუბარია გამართული საპრეზიდენტო ხელისუფლებაზე.

„ჩვენ გამართული საპრეზიდენტო ხელისუფლებაც არ გვქონია. იქაც თვითშემოქმედებით, რაც გვაწყობდა ბევრი რამ ჩავამატეთ და გამოვაკელით. ნორმალური არც საპრეზიდენტო ხელისუფლება გვქონდა და ახლა ვატყობთ, რომ არც საპარლამენტო რესპუბლიკა გვაქვს ნორმალური. აქაც ვიღაცის ინტერესებით რაღაც იდგმება ერთი ადგილიდან მეორე ადგილას – სააკაშვილის ინტერესებიდან დაწყებული.

ასე რომ, პრეზიდენტმა და პრემიერმა რომ ვერ მოილაპარაკეს, მომავალში რამდენად ხშირად აღმოცენდება ეს პრობლემა ისეთ შემთხვევაშიც, როდესაც მოლაპარაკების შედეგი უნდა იყოს, დავუშვათ, საპარლამენტო უმრავლესობის ჩამოყალიბება? გახსოვთ, ალბათ, უკრაინაში რამდენ ხანს მიდიოდა მთავრობის ჩამოყალიბება და მერე ამისათვის ხელახალი არჩევნები დასჭირდათ. პოლიტიკური კულტურის დეფიციტი იყო ამის მიზეზიც. ასე რომ, სისტემები კარგია თუ ცუდი, გაჩნია ნიადაგს, რომელ ნიადაგზეა ეს სისტემა აშენებული“, – აცხადებს რამაზ საყვარელიძე.

როგორც კახა გოგოლაშვილი განმარტავს, როდესაც პირდაპირ არჩეული სახელმწიფოს მეთაური ფლობს დიდ კომპეტენციებს, ხალხმა იცის კონკრეტულად ვის მოსთხოვოს პასუხი, ვისი აზრია წამყვანი, ვისი სტრატეგიით იმართება ქვეყანა და ა.შ.

„საპარლამენტო დემოკრატიისკენ სვლა ცუდი არ არის, მაგრამ არ მგონია, ამისთვის მზად ვიყოთ – კარგად ვხედავთ, ჩვენი დღევანდელი პარლამენტი არ არის ისეთი მძლავრი ორგანო – თვითონ პოლიტიკური კულტურა და ადამიანების მენტალობა არ არის ამისათვის მომზადებული, რომ კოლექტიურად, დემოკრატიულად იმართოს ქვეყანა.

საჭიროა ძლიერი პიროვნება, ძლიერ კომპეტენციებით, რომელიც თამაშობს წამყვან როლს, რა თქმა უნდა, ხალხზე დაყრდნობით. სამწუხაროდ, ამ მოდელის შეცვლა თვითონ წინა ხელისუფლებამ გადაწყვიტა. ეს იყო, ალბათ, მათი ერთ-ერთი ყველაზე დიდი შეცდომა, რომ კონსტიტუციის მორგება დაიწყეს რაღაც კონკრეტულ პოლიტიკურ კონიუქტურაზე. ისეთი კონსტიტუცია შექმნეს, რომელიც პრობლემებს ქმნის ლეგიტიმურობის თვალსაზრისითაც და კომპეტენციის თვალსაზრისითაც“, – აცხადებს გოგოლაშვილი.

როდესაც ასეთი ქაოსური სურათი მივიღეთ და მისი დალაგების გზაც არ ჩანს, საინტერესოა, ვინ იქნება პასუხისმგებელი, თუ ერთ მშვენიერ დღეს, ჰიპოთეტურად, ევროკავშირის ნაცვლად ევრაზიულ კავშირში აღმოვჩნდებით, ან რაღაც გლობალური პრობლემის წინაშე დავდგებით?

„ჩვენ თუ ევრაზიულ კავშირში შევალთ ევროკავშირის ნაცვლად (დარწმუნებული ვარ, რომ ასე არ მოხდება, მაგრამ ალბათობის შანსი ყოველთვის არსებობს), პასუხისმგებლობა იქნება პრემიერისა და პარლამენტის. პრეზიდენტსაც აქვს რაღაც ბერკეტები, მაგრამ მას ვერ მოვთხოვთ სახელმწიფო კურსის განსაზღვრას“, – აცხადებს გოგოლაშვილი.

რამაზ საყვარელიძე: **„ვინ არის ამ საკითხებზე პასუხისმგებელი? - ძირითადად პრემიერ-მინისტრი. ეს არ არის პრეზიდენტის პრეროგატივა, მიუხედავად იმისა, კონსტიტუციაში რომ წერია. საიმისო რესურსები, რომ ამ საკითხს მიხედოს და მერე როგორც თვითონ გადაწყვეტს, ისე წარიმართოს საგარეო კურსი, პრეზიდენტს არ გააჩნია. რატომ წერია ეს კონსტიტუციაში, სრულიად გაუგებარია.**

ეს უნდა გადაწყვიტოს პრემიერ-მინისტრმა გარკვეულ ინტელექტუალურ ჯგუფებზე დაყრდნობით. იმიტომ, რომ ჩინოვნიკური ჯგუფები ამ ტიპის გადაწყვეტილებებს ვერ ამზადებენ, რადგან მათ იმდენი ყოველდღიური საქმე აქვთ, გრძელვადიან გათვლებს ვერ აკეთებენ-ხოლმე.

ამიტომ არსებობს უცხოეთში ე.წ. ფიქრის ჯგუფები – ასეთი რამ საქართველოში არ არსებობს და მარჯვნივ წავიდეთ თუ მარცხნივ, წყდება იმის მიხედვით, პირველ კაცს რა უნდა და არა იმის მიხედვით, რა იქნება სწორი“.

როგორც წესი, დამზღვევი მექანიზმი უნდა იყოს ასეთ შემთხვევაში პარლამენტი, თუმცა, დღევანდელ პარლამენტს, სავარაუდოდ, ამ ფუნქციის შესრულება ნამდვილად გაუჭირდება.

გარეგნულად და შორიდან ეს დაპირისპირება ისე გამოიყურება, თითქოს პრეზიდენტი ცდილობს, დაიცვას თავისი უფლებები, გაიმყაროს პოზიციები. საზოგადოებაში კითხვებიც კი ჩნდება, შესაძლებელია თუ არა რომ – ეს ხდებოდეს იგივე ამერიკის მხარდაჭერით, თუნდაც იმიტომ, რომ ნახევრადსაპრეზიდენტო მოდელი, სადაც არის რეალურად ძლიერი პრეზიდენტი და ძლიერი პრემიერი, შესაძლოა, უფრო ეფექტური აღმოჩნდეს ჩვენი ტიპის ქვეყნისთვის?

როგორც კახა გოგოლაშვილი განმარტავს, შეერთებული შტატები დაინტერესებულია სტაბილური და ევროატლანტიკური ორიენტაციის საქართველოთი, მაგრამ საეჭვოა, ის მხარს უჭერდეს პრეზიდენტს და აგულიანებდეს.

„არ მგონია, ისინი ამაში ერეოდნენ, შეერთებული შტატების წარმომადგენლები ბევრად მეტი ინტენსივობით ხვდებიან პრემიერსა და პარლამენტს, ვიდრე პრეზიდენტს – მათ კარგად იციან ვის აქვს ძალაუფლება და რეალურად ვინ ატარებს პოლიტიკას ქვეყანაში“, – აცხადებს გოგოლაშვილი.

რამაზ საყვარელიძე: **„ამერიკის მხრიდან მხარდაჭერას არსად არ გამოვრიცხავ, ამერიკას აქვს ასეთი პოლიტიკა, ის მხარს უჭერს ხელისუფლებას, მაგრამ ასევე უსმენს და ანგარიშს უწევს ნებისმიერ ოპოზიციურ გამოვლინებას. მარგველაშვილი ნამდვილად არ არის ოპოზიციური ფიგურა, მაგრამ კრიტიკული ფიგურა ამ ხელისუფლებისთვის ნამდვილად აღმოჩნდა. ამიტომ არ გამოვრიცხავ, რომ ამ ჩვენის გამო მარგველაშვილსაც მიაქციონ ყურადღება.**

ის, რომ მარგველაშვილი ცდილობს, პრეზიდენტის ინსტიტუტის გაძლიერებას, ცოტა ღიმილის მომგვრელია იმიტომ, რომ კლიმატის კონფერენციაზე წასვლით პრეზიდენტის ინსტიტუტი ვერ გამყარდება. რაღაც დოკუმენტზე ხელიმოწერის დაჩემებითაც, ასევე ვერ გამყარდება. სურვილი გასაგებია გამყარებისა, მაგრამ რაღაც ბავშვურ დონეზე მიდის იმ ინსტრუმენტების მოძიება, რომლითაც ეს ინსტიტუტი შეიძლება გამყარდეს. ცოტა სხვანაირად კეთდება-ხოლმე პოლიტიკაში სუსტის გამყარება. პრეზიდენტი დღეს კონსტიტუციურად სუსტი ფიგურაა, ის ჭიდაობაზე არ უნდა გადასულიყო. სხვა გაგრძელება ამ ყველაფერს ვერ ექნება, გარდა იმისა, რომ გადავიდეს ნორმალურ ურთიერთობაზე და დაიკავოს ის ადგილი, რაც მის ძალაუფლებას შეეფერება. კონსტიტუციურად გაწერილ ძალაუფლებაზე არ ვამბობ, რადგან იქ ბევრი სისულელე წერია. რეალურ ძალაუფლებას ვგულისხმობ“.

რაც შეეხება საკამათო თემებსა და დაპირისპირებას, როგორც რამაზ საყვარელიძე განმარტავს, ყველგან, სადაც არის ძლიერი პრემიერი და ძლიერი პრეზიდენტი და ასეთი მაგალითი საფრანგეთია, უსიამოვნებები პრეზიდენტსა და პრემიერს შორის ქრონიკულად მისდევს ფრანგულ პოლიტიკას.

როგორც კახა გოგოლაშვილი მიჩნევს, საბოლოო ჯამში, პრობლემები გვექნება, სანამ თვითონ საზოგადოებაში არ მოხდება მენტალური გარდატეხა.

„საზოგადოებაში ტრანსფორმაცია ნელ-ნელა ხდება და ეს ყველაფერი მიბმულია არჩევნებთან. თუ ხალხი ირჩევს ვიღაც ადამიანებს, რომლებსაც ენდობა არა პოლიტიკური პოზიციისა და ხედვის გამო, არამედ იმიტომ, რომ, მათი აზრით, კარგები ან ცუდები არიან, ან ლოიალურები ვიღაცის მიმართ, ასეთ პარლამენტს ბევრს ვერაფერს ვერ მოსთხოვ“.

საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ აუცილებელია სახელისუფლებო შტოებს შორის ურთიერთობების დალაგება, რათა ერთ მშვენიერ დღეს თავზე არ დაგვემხოს ეს ქვეყანა, თუმცა, რამაზ საყვარელიძე მიიჩნევს, რომ **„რაც მალე შეიქმნება ძლიერი კრიზისი, რომელიც გვაიძულებს, რომ ვიმოქმედოთ უფრო აზრიანად, მით უკეთესია“.**

არის თუ არა ეს საუკეთესო გამოსავალი, ძნელი სათქმელია, თუმცა, როდესაც თვეების მანძილზე, გარდა პრეზიდენტსა და პრემიერს შორის დაპირისპირებისა, ქვეყანაში სხვა ახალი ამბავი ძნელად მოიძებნება, ალბათ, ხელისუფლებას მართლაც უფრო სერიოზულად დაფიქრება მართებს.

ლალი ზირაქიშვილი

◎ ალიანჩალიანი

საქართველო ბირთვული კვლევების ევროპის ცენტრის ასოციირებული წევრი გახდება

ამის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან იტყობინებიან. მათივე ინფორმაციით, თბილისში სამუშაო ვიზიტით ბირთვული კვლევების ევროპული ცენტრის (CERN) ოფიციალური დელეგაცია იმყოფებოდა. დელეგაციის წევრები განათლებისა და მეცნიერების მინისტრ თამარ სანიკიძეს შეხვდნენ.

„შეხვედრაზე ბევრ მნიშვნელოვან საკითხთან ერთად, აქტიურად განიხილებოდა ცეტრში (CERN) საქართველოს ასოციირებული წევრობის საკითხი. დაიგეგმა შემდგომი ნაბიჯები, რომლის ფარგლებშიც, საქართველო ოფიციალურ განაცხადს წარადგენს და დაიწყება პროცესი. პარალელურად, საქართველოში ცენტრის არაერთი წარმომადგენელი ჩამოვა და საქართველოდანაც ბევრი მეცნიერი ეწვევა ბირთვული კვლევის ევროპულ ცენტრს.

შეიქმნა საგანმანათლებლო პროგრამები ტურიზმის განსავითარებლად

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პრეზენტაცია გაიმართა. თსუ-ში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები საზოგადოებას თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა თამარ ვეფხვაძემ წარუდგინა:

– საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობ რამდენიმე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან ერთად, თსუ-ში ახალი პროდუქტი – ტურიზმის მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამები დაინერგა. ამ პროგრამებმა წარმატებით გაიარა აკრედიტაცია. აკრედიტაციის საბჭომ სწორედ ეს პროგრამები აღიარა წლის საუკეთესო პროგრამებად. მომდევნო სასწავლო წლისთვის, კიდევ რამდენიმე პროგრამის ამუშავებას ვაპირებთ, ამ წინადადებით მივმართავთ აკრედიტაციის საბჭოს.

ინტერპრესი

რევოლუციას სარევოლუციო ვითარება სჭირდება,

ასეთი ვითარება ჯერ არ არის

„ჩემი მინისტრობის დროს იყო მეტი ქაოსი, მაგრამ უფრო დაცული იყო ადამიანის უფლებები, ნაციონალური მოძრაობა იცავს საზოგადოების უსაფრთხოებას, ოღონდ ადამიანის უფლებების შელახვის ხარჯზე“, — დაახლოებით ასე ფიქრობდა შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი კობა ნარჩემაშვილი 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებამდე. რას ფიქრობს იგი დღევანდელ რეალობაზე, იპოვა თუ არა ხელისუფლებამ ოქროს შუალედი და რატომ არ უნდა ყოფილ კოლეგას მინისტრ ალექსანდრე ჭიკაიძის შეფასება, ამაზე ქვემოთ თავად გვესაუბრება.

— ბატონო კობა, ბოლო პერიოდში საზოგადოებამ თითქმის დაკარგა უსაფრთხოების განცდა, გახშირდა კრიმინალი...

— თქვენც ხომ ატყობთ, რომ გახშირებულია.

— მაგრამ სხვაზე მეტყველებს სტატისტიკა, რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტრო აქვეყნებს.

— თუ ადამიანი უსაფრთხოდ თავს ვერ გრძნობს, როგორი სტატისტიკაც არ უნდა გამოაქვეყნო, ამას არ ეშველება. საზოგადოებაში ეს განცდა არის, ამას თვალი უნდა გავუსწოროთ. მაგრამ არც ისეთი საგანგაშო ვითარებაა, რომ სიმშვიდე ცოცხებზე გავცვალოთ... ასეთი უკიდურესობა ნამდვილად არ გვინდა.

ფაქტი ისაა, რომ კრიმინალური ვითარება გაუარესებულია და არც შეიძლებოდა, ასე არ მომხდარიყო. როდესაც 27 ათასი პატიმრიდან 20 ათასს გამოუშვებ, ეს თავისთავად დაძაბავდა ვითარებას. ყველა სამეურნეო დანაშაულზე ხომ არ იქნებოდა დაკავებული, მათ შორის ბევრი სისხლის სამართლის დამნაშავე იყო...

— ხომ გვაფრთხილებდნენ ამის შესახებ?..

— იცით, რა მოხდა? ახალი ხელისუფლება რაღაცნაირად საზოგადოებრივი განწყობის მძევალი გახდა. 2004-12 წლებში რეპრესიული რეჟიმი მძლავრობდა და ამდენად აუცილებელი ჰუმანური აქტები, შეწყალება და ამნისტია ყველას უნდა შეხებოდა, მაგრამ ეს არ ნიშნავდა იმას, რომ პატიმარს ციხე აუცილებლად უნდა დაეტოვებინა. შეიძლებოდა ვიღაცას სასჯელი შემსუბუქებოდა, ვიღაცას პატიმრობის წლები მოკლებოდა და სხვა, საჭირო იყო უფრო მეტი ინდივიდუალიზაცია და საქმეების შესწავლა, რაც იმ მოკლე დროში ფაქტობრივად ვერ მოესწრებოდა.

— მოხდა ის, რაც მოხდა და დღეს გვაქვს ასეთი ობიექტური რეალობა...

— რა თქმა უნდა, ქმედებები შეიძლებოდა უფრო სრულყოფილი ყოფილიყო, მაგრამ... მაგრამ მარტო ეს არ არის მიზეზი იმისა, რომ ვითარება გაუარესდა. მთავარია, რომ დღესაც ის სისხლის სამართლებრივი პოლიტიკა მუშაობს, რაც მიხეილ სააკაშვილის დროს.

— რას გულისხმობთ?

— დანაშაულთან ბრძოლის ფორმები ძველია. ის იყო რეპრესირებულ, ტოტალიტალურ რეჟიმზე მორგებული, რომელიც ახალ რეალობაში ვერ გამოდგებოდა. არადა სისტემის ტრანსფორმირება არ მომხდარა.

— ძალოვან უწყებებში იგივე თანამშრომლები დარჩნენ...

— დიახ, იგივენი დარჩნენ. არადა, არსად იმდენი გულშემატკივარი ნაციონალურ მოძრაობას არ დარჩენია, რამდენიც შსს-ში, პროკურატურაში, სასამართლოში, სასჯელაღსრულების სისტემაში, თავდაცვის სამინისტროში. იმიტომ, რომ ის რეჟიმი ამათზე იდგა. ამ ხალხს კარგი სასათბურე პირობები ჰქონდა, ეპატიებოდათ ბევრი რამე. ამიტომ დღემდე ძველი ხელისუფლების გულშემატკივრები და სოლიდარულები არიან.

— ეს იმას ნიშნავს, რომ მიზანმიმართულად არ ასრულებენ თავიანთ ფუნქციას?

— რა თქმა უნდა! როგორ ფიქრობთ, რატომ აგროვებდა ის რეჟიმი მაკომპრომეტირებელ მასალებს, ვიდეო-ფირებს. მსხვერპლის კომპრომენტაციისთვის? პოლიციელების დასაშანტაჟებლად უნდოდათ, რათა ეს ხალხი გავლენის ქვეშ ჰყოლოდათ. ეს პოლიციელები დღესაც მუშაობენ, მათ იციან, რომ სადღაც ეს მასალები ისევ დევს. და რას გააკეთებს დღეს ეს პოლიციელი, რატომ მოიკლავს თავს კრიმინალთან ბრძოლით?! ისინი არც ერიდებიან, საჯაროდ და ღიად აცხადებენ, რომ ვანო მერაბიშვილის მინისტრობისას იდეალური დრო იყო და მას მისტირიან.

— მათი ჩანაცვლება რომ მოხდეს, ადამიანური რესურსი არ არსებობსო?

— ვერ დაგეთანხმებით. არსებობს ადამიანური რესურსი, ინტელექტუალური ბაზა, არიან წინა რეჟიმთან შეურიგებელი ადამიანებიც, უბრალოდ ხედვები არ არსებობს...

— რას იტყვით მინისტრ ჭიკაიძეზე, ის რამდენად ართმევს თავს ამ რთულ საქმეს?

— როგორც ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი, ჩემგან მისი შეფასება არაკორექტული იქნება. რაც უნდა ვთქვა, არასწორად იქნება გაგებული... სისტემურად რომ იყოს საქმე უკეთესად, პერსონებს დიდი მნიშვნელობა არ ექნებოდა.

— მაშინ, რას იტყვით ციხეებში შექმნილ ვითარებაზე, იქაც სისტემური გაუმართაობაა დამნაშავე?

— თეთრი ბაირაღების გამოკიდება არ ნიშნავს, რომ რეჟიმი შეიცვალა. ციხეს თავისი რეჟიმი უნდა ჰქონდეს, უბრალოდ, ის არ უნდა იყოს დამამცირებელი, ღირსებისშემლახველი. ყოველ შემთხვევაში, სასჯელაღსრულებაში რეგულაციები უფრო მარტივი გასაკეთებელია, ამას დიდი ოპერატიული მუშაობა არც სჭირდება, თუ მონდომება იქნება.

— ბატონო კობა, საზოგადოებრივი უსაფრთხოება ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ, ადამიანის უფლებები... თქვენ ადრე ამბობდით, რთულია ოქროს შუალედის პოვნაო. რა ხდება დღეს და საითკენ იხრება დღევანდელი ხელისუფლება?

— ახლაც დისბალანსია. რა არის ხელისუფლების დეფინიცია? — ძალის კანონიერი გამოყენების უფლება. დღეს არასწორად არის გაგებული ადამიანის უფლებები. ხოლო ასეთ გაგებას საზოგადოებრივი ინტერესები ეწირება.

— თქვენ, ალბათ, არ გულისხმობთ ქუჩაში ღიად, აგრესიულად ჩატარებულ ჩხრეკის ფაქტებს, საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის მიზნით რომ კეთდება?

— ამას ის პოლიციელები აკეთებენ, რომლებმაც ძალიან კარგად იციან, რომ ასეთ ქმედებას საზოგადოების უკმაყოფილება მოჰყვება...

— ანუ მიზანმიმართულად აკეთებენ?

— დიახ, ასე სურთ უარყოფითი მუხტი შექმნან.

— მივედით იქამდე, რასაც საშემოდგომო რევოლუცია ჰქვია...

— არავითარი რევოლუცია! რევოლუციის მოწყობას სარევოლუციო ვითარება სჭირდება, ასეთი კი ჯერ არ არის. რევოლუციის კლასიკური გაგება ასეთია: ზედა ფენებს აღარ შეუძლია ძველებურად მართვა, ხოლო ქვედა ფენებს აღარ სურთ ძველებურად ცხოვრება, ჯერ არც ერთია, არც მეორე. ნაციონალებს, რა თქმა უნდა, ხელს აძლევს დესტრუქციული როლის თამაში და კარგადაც იყენებენ მატერიალურ თუ საინფორმაციო რესურსს. ისინი ცდილობენ, პანიკა შექმნან, არ უნდათ, სიმშვიდე სუფევდეს საზოგადოებაში.

— ბიძინა ივანიშვილმა თავის ბოლო ინტერვიუში აღნიშნა, რომ ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებას უსმენსო.

— მე კიდევ უფრო ადრე ვთქვი, რომ ნაციონალებს არაერთი პარალელური სერვერი აქვთ, სადაც არსებობს ინფორმაციები გამოძიების შესახებ. არის კერძო ტექნიკური მოწყობილობები ბინებში, სადაც უსმენენ.

— ანუ შინაგან საქმეთა სამინისტრო ცუდად მუშაობს?

— ალბათ.

— ამ ყველაფრის ფონზე სამინისტროს წარმატებები აქვს ნარკოტიკების ამოღებასთან დაკავშირებით. პრესაში ხშირად იწერება იმის შესახებ, რომ წინა ხელისუფლება, როგორც ნარკოსატრანზიტო ქვეყანა, აქტიურად მუშაობდა ამის ხელშესაწყობად, ხოლო მინისტრი ჭიკაიძე ნარკოდილერების დაუძინებელი მტერი აღმოჩნდა. თქვენ რას იტყვით?

— მე ერთ რამეს ვიტყვი. ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ხარისხი მიბმულია საბაზრო ფასზე. თუ ნარკოტიკის ფასი მაღალია, ე. ი. ბრძოლაც ეფექტიანია, თუ არადა, პირიქით... მე მაინტერესებს: როდიდან დაიწყო საქართველოს, როგორც ნარკოსატრანზიტო ქვეყნის გამოყენება?!

— 90-იანი წლებიდან არა?

— ვეჭვობ... ან ხომ არ ჰქონდა ორგანიზებული ხასიათი?

— ამას თქვენს წინამორბედს კახა თარგამაძეს უკავშირებენ.

— უკავშირებენ, მაგრამ საქართველო იმ პერიოდში არ იყო სატრანზიტო ქვეყანა. დღეს ვის იმედზე მოდის ნარკოტიკები საქართველოში, როცა იციან, რომ უკვე სხვა ხელისუფლებაა?! ეს მეც მაინტერესებს...

— ამის გასაგებად ძალიან სერიოზული მუშაობაა საჭირო. მოდით, ერთგვარად შევაჯამოთ ჩვენი საუბარი, დასკვნა რა არის, რა შეიძლება იყოს გამოსავალი?

— ჩემი აზრით, შინაგან საქმეთა სამინისტროს სრული ტრანსფორმირება სჭირდება, განსაკუთრებით უშიშროების სამსახურს. რეფორმები ვერ უშველის. 1992-2004 წლებში ის იყო პოსტსაბჭოთა, მილიციური სტილის სისტემა. 2004-12 წლებში კი — კორპორაციულ ინტერესებზე დაფუძნებული, ტოტალიტარული ელემენტებით გაჯერებული. ახლა დროა, ამ სისტემის სრული ტრანსფორმაცია მოხდეს. სამართალდამცავი და უსაფრთხოების სისტემების სრულიად ახალი მოდელი უნდა შეიქმნას. ეს არ არის რაღაც სუპერ ამოცანა, მთავარია, პოლიტიკური ნება არსებობდეს.

— არ არსებობს პოლიტიკური ნება?

— არის ამაზე ლაპარაკი, ფიქრი...

— ხომ არ დაგიძახათ ახალმა ხელისუფლებამ, იყო რამე კონსულტაციები?

— არა, მსგავსი არაფერი ყოფილა.

— თქვენ რომ მინისტრი იყოთ...

— ...ბევრს ვერაფერს შევცვლიდი... მინისტრობის სურვილი ნამდვილად არ მაქვს.

— რატომ?

— გავლილი ეტაპია, საინტერესო არ არის ჩემთვის.

— გმადლობთ!

ესაუბრა
თეა ბოსია

◎ ალიანჩალიანი

4 ახალი საწარმო აშენდება

მთავრობამ პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში კიდევ 4 ახალი საწარმოს შექმნის საკითხი დაამტკიცა.

როგორც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, ვიცე-პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, დამტკიცებული პროექტების ფარგლებში საქართველოში სამკერვალო საწარმო, მაღალტექნოლოგიური მეორადი საავტომობილო ზეთის გადამამუშავებელი საწარმო, სამშენებლო მასალათა წარმოების საწარმო და ცხოველური და ფრინველური საკვების მწარმოებელი საწარმო აშენდება. „ჯამში, ოთხივე საწარმოს შექმნაში დაგეგმილია დაახლოებით 4 მილიონი ლარის ინვესტიციის ჩადება. ოთხივე მათგანი ერთად 100-ზე მეტი სამუშაო ადგილის შექმნას ითვალისწინებს“, — განაცხადა ეკონომიკის მინისტრმა. გიორგი კვირიკაშვილის განმარტებით, აღნიშნული საწარმოები მცირე და საშუალო ზომის საწარმოები იქნება.

SUPER PUMA-ს ტიპის ვერტმფრენებით რამდენიმე პირი დაინტერესდა

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, ვიცე-პრემიერ გიორგი კვირიკაშვილის ინფორმაციით, სარეალიზაციოდ გატანილ, SUPER PUMA-ს ტიპის ვერტმფრენებთან დაკავშირებით, რომელიც წინა ხელისუფლების დროს იქნა შეძენილი, რამდენიმე დაინტერესებული პირი არსებობს.

„ისინი რეალიზაციისთვის შუამავალ კომპანიებზეა გადაცემული. რამდენადაც მე ვიცი, რამდენიმე დაინტერესებული პირი არსებობს, თუმცა, ბოლო ინფორმაციას ვერ მოგახსენებთ. ესენია ძალიან ძვირადღირებული ვერტმფრენები, ერთი მათგანის სალონი VIP-ის ტიპის შესაბამისადაა მოწყობილი“, — განაცხადა კვირიკაშვილმა.

მინისტრის განმარტებით, თუ ვერტმფრენების იმ ფასად რეალიზაცია მოხდა, რა ფასადაც შეძენილი იქნა, შესაძლებელი იქნება სამთო ავიაკატასტროფის მიმართულებით და სამთო-სამაშველო ოპერაციებისთვის რამდენიმე ვერტმფრენის შეძენა. საუბარია SUPER PUMA-ს ტიპის ვერტმფრენებზე, რომელიც წინა ხელისუფლების დროს იქნა შეძენილი. ახალი მთავრობა მათ პრივატიზაციას ერთ წელზე მეტია, ცდილობს.

ინტერპრესი

◎ კვალი დროში

ასე მრავალჭირგადანახადი კაცი



ცნობილ მეცნიერს, საზოგადო მოღვაწესა და პუბლიცისტს ანზორ თოთაძეს 75 წელი შეუსრულდა. მისი მონოგრაფიები დემოგრაფიის პრობლემებზე არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც გახმაურდა. ვულოცავთ ღირსეულ მამულიშვილსა და ჩვენს მეგობარს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს.

იუბილარს ამ დღეებში რამდენიმე კითხვით მივმართეთ:

— ბატონო ანზორ, 75 წელი არც ისე ცოტა დროა. თქვენს ბოლო პუბლიკაციებს თუ გადავხედავთ, კვლავ „შეტევის“ ხასიათზე ხართ... როგორ შეაფასებდით განვლილ გზას?

— რაც მთავარია, მრუდე სასწორი არასოდეს მიხმარია, სიკეთით და სიყვარულით ვიცხოვრე, თუმცა, ხშირად მიხდებოდა ცნობილი ფრაზის გამეორება: ამ კაცს რა უნდა ჩემგან, მე ხომ მისთვის სიკეთე არ გამიკეთებია. რაც შეეხება „შეტევას“, ისეთ მძიმე, ქართველთათვის მძიმე სფეროში ვშრომობდი და ვშრომობ, ხმალი მუდამ შემართული უნდა მქონდეს...

— თვლით თუ არა, რომ თქვენს წილ მწუხარებასა და სიხარულს დროულად და მთლიანად მოესწარით?

— ბედნიერად ჩავთვლი ჩემს თავს, ასე რომ ყოფილიყო. 38 წლის ვაჟიშვილი დავკარგე. მძიმე ავადმყოფს იერუსალიმში ვმკურნალობდი. რომ იტყვიან, ცა და მიწა შევძარი, მაგრამ ვერ ვუშველე. ავადმყოფს მეუღლე ედგა თავზე. ერთხელ ძილში უთქვამს: „მამა, გადამარჩინე, აქ არ დამტოვო“. ნეტავ ჩემს რძალს არ ეთქვა ეს ჩემთვის... რკინის ნერვები უნდა გქონდეს კაცს, რომ ყოველივე ამას გაუძლო. ახლა ამ ფრაზის გახსენებით ვიძინებ და ვიღვიძებ. ღმერთმა უმძიმესი განსაცდელი მომივლინა.

— რაიმე განსაკუთრებულის გახსენებას ხომ არ ისურვებდით?

— დიდი სამამულო ომის დაწყების პირველ დღეებშივე მამაჩემი ჯარში გაიწვიეს, ქერჩში იბრძოდა. ცხოვრება გაგრძელდა და დედამ სოფელ ზედა კვალითში, დედულეთში, ბაბუაჩემის ვარდენ ულენტის ოჯახში წამიყვანა. იქ მეტად უზრუნველი ბავშვობა გავატარე და თუ ჩემში ადამიანობის, სიკეთის, სიყვარულის რაიმე გრძნობა არსებობს, სწორედ იქ ვიგრძენი და შევისისხლხორცე.

— ქერჩში ბევრმა ქართველმა ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი. მამა დაბრუნდა ომიდან?

— ჩემი თაობის ადამიანებს კარგად ახსოვთ ფრონტიდან მოწერილი სამკუთხა ბარათები, რომელთაც ყველა ოჯახი გულისფანქცალით ელოდა. მინდა, ჩემდამი გამოგზავნილი მამის ერთი წერილის ტექსტი გაგაცნოთ, რომელსაც დღესაც ცრემლმორეული ვკითხულობ: „სალამი ჩემი მომავლის იმედო, სანატრელო პატარა ანზორ! იცოცხლე, ჩემო პატარა იმდენ ხანს, რამდენი ხანიც შენი სიცოცხლე მამიკოს სურდეს. ჩემო პატარა, თანამედროვე მდგომარეობამ მოგაკლო მამის ალერსი და მზრუნველობა. შენგან დაშორებამ მე ნახევარი სიცოცხლე მომაკლო. შენი პატარა სახე ყოველთვის თვალწინ მიდგას. რაც დრო მიდის, მით უფრო მემატება შენი ნახვის სურვილი, მაგრამ მე ამას მოკლებული ვარ ჯერჯერობით. იქნებ ბედმა არ გამწიროს და მაღირსოს შენი ნახვა. ვინაიდან შენგან საგრძნობლად დაშორებული ვარ, იმედი მაქვს, ჩემს წილ საჩუქარს დედა გიყიდის. ჩემგან მიიღე საჩუქრად მხოლოდ ეს ქაღალდის ნაგლეჯი და ზედ დაწერილი სიტყვები: შენი მამა — ბაგრატი“.

მამა ბედმა, მართლაც, არ გასწირა და შინ მშვიდობით დაბრუნდა. ასეთი მოგონებები, ვფიქრობ, საჭიროა ახალგაზრდობისთვის, მაგრამ მოგონებებს ვინ ჩივის, არამზადა ექსპრეზიდენტმა სააკაშვილმა საჯაროდ განაცხადა, ჩვენ სხვის ომში ვიბრძოდითო და ამით ასიათასობით დაღუპული ქართველი ვაჟკაცის ხსოვნა შეურაცხყო, მით უმეტეს მაშინ, როდესაც დაღუპულთა დები, ძმები, შვილები ჯერ კიდევ ცოცხლები არიან და თვალზე ცრემლი არ შეშრობიათ. სააკაშვილს დიდ სამამულო ომში დაღუპულთა ხსოვნის წასაშლელად დასჭირდა აფხაზეთში დაღუპულ გმირთა ხსოვნისათვის გმირთა მოედანზე მიუვალ ადგილზე ახალი ობელისკის გაკეთება. არადა, ვაკის პარკში შესანიშნავი ობელისკია, სადაც შეიძლებოდა არსებული ობელისკის გაფართოება და ერთიანი კომპლექსის გაკეთება...

— ჩვენ თემას გადავუხვიეთ, დაუვიწყარ მოგონებებზე ვსაუბრობდით.

— ექს-პრეზიდენტი ადამიანური ღირსებიდან სულ გადახვეული დადიოდა და ძნელია თავის შეკავება. თუ პირველ სათქმელს დავუბრუნდებით, მშობლებმა მამის ჯარიდან დაბრუნების შემდეგ ზესტაფონში გადმომიყვანეს, იქვე დავამთავრე საშუალო სკოლა, შემდეგ თბილისში უმაღლესი. ვმუშაობდი ხელისუფლებაში სხვადასხვა თანამდებობაზე. ერთ პერიოდში კოორდინაციას ვუწევდი ქვეყანაში ეროვნებათშორის ურთიერთობებს და ამასთან დაკავშირებით არაერთი მწვავე ბრძოლა გადამხდომია მოსკოვში აფხაზ სეპარატისტებთან და მათ იქაურ დამქაშებთან. 1996-2004 წლებში ვიყავი ჯერ საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო შემდეგ — საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დემოგრაფიის დეპარტამენტის თავმჯდომარე, წლების განმავლობაში ვმუშაობდი დემოგრაფიის ინსტიტუტში განყოფილების გამგედ, ვიყავი ბიზნესისა და ტექნოლოგიის ინსტიტუტის დამფუძნებელი და რექტორი, ბაქოში, ადამიანთა უფლებების ინსტიტუტის სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი სამეცნიერო საბჭოს წევრი პოლიტოლოგიაში, 1992-1993 წლებში რესპუბლიკურ გაზეთ „სტუდენტური პარალელების“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი, ჟურნალ „კომერსანტის“ მთავარი რედაქტორი, ამჟამად გახლავართ ჟურნალების — „დემოგრაფიისა“ და „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნეს“ მთავარი რედაქტორი.

— ჩვენი საზოგადოება თქვენ პატივს გცემთ როგორც მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორს, უპირატესად დემოგრაფიაში, აგრეთვე როგორც კარგ პუბლიცისტს...

— თითქოს ხუთი ათეული წელია, ვიკვლევ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემებს. გამოქვეყნებული მაქვს 40-მდე მონოგრაფია, მრავალი სამეცნიერო სტატია და პუბლიცისტური წერილი ეკონომიკის, დემოგრაფიის, სოციოლოგიის, ლიტერატურის, ქართული სულიერების, კულტურის, პრესისა და ტელევიზიის აქტუალურ საკითხებზე. მონოგრაფიებისა და ცალკეული მეცნიერული სტატიების ერთი ნაწილი დაბეჭდილია ნიუ-იორკში, მოსკოვში, პეტერბურგში, ბაქოში, ინგლისურ და რუსულ ენებზე. ჩემი მონოგრაფია „აფხაზეთის მოსახლეობა, ოსები საქართველოში“, რომელიც 1994 წელს გამოიცა ინლისურად და რუსულად, თავის დროზე ოფიციალურ დოკუმენტად გავრცელდა ჰააგაში კონფლიქტოლოგიის საერთაშორისო კონფერენციაზე, ჟენევაში გაეროს ეგიდით მიმდინარე მოლაპარაკებებზე და ევროსაბჭოს „დემოკრატია — სამართლის მეშვეობით“ კომისიის წევრთათვის... ვგონებ, ერთი კაცის მოჭირნახულებული წუთისოფლისთვის საკმარისია...

— ნამდვილად საკმარისია. კიდევ ერთხელ გილოცავთ დაბადების 75 წლისთავს. ხუთი წლის შემდეგ ისევ გულწრფელად გვესაუბროს!

— ღმერთმა გისმინოთ!

ესაუბრა
გიორგი მახათაძე

◎ „საუბრები ბუხართან“

საიუბილეო 750-ე...

18 სექტემბერს, ძველი ქართული კალენდრით ახალი წლის პირველ ხუთშაბათს,მუშაობა განაახლა ტელეარხ „რიონის“ პოპულარულმა სატელევიზიო ციკლმა „საუბრები ბუხართან“. ინტერვიუერი ამჯერადაც გახლდათ ტელეკომპანია „რიონის“ გენერალური დირექტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თამილა ღვინიანიძე, რესპონდენტი კი ქუთაისის საპატიო მოქალაქე, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ალექსანდრე შენგელია.

შემოდგომის ნაადრევად აგრილებულ ამ საღამოს ნამდვილად შვენოდა ანთებულ ბუხართან შესათბობად მიდგმული ფუჩეჩდაცმული სველი დოქი და რაფინირებული ქართულით მსჯელობა ქვეყნისა და ქალაქის სატკივარზე, მათ შორის, ელექტრონული და ბეჭდვითი მედიის მნიშვნელობასა და როლზე.განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება შოკური ხასიათის სატელევიზიო გადაცემებსა და მათ დიდ დადებით როლზე, როცა ისინი ცალკეული საზოგადოებრივი წყლულის განკურნების მიზნით გამოიყენება და, პირიქით, მათ უაღრესად დიდ მავნეობაზე,

როდესაც ასეთი სანახაობა ადამიანთა დაშინებისა და ზომბირებისათვის იქმნება.

გუშინ საღამოს აღდგა აგრეთვე ამავე ტელეარხის კიდევ ერთი ძალზე პოპულარული ციკლი, რომელიც ღია ეთერში ბადრი კაპეტივაძის სახელობის საზოგადოებრივი სატელევიზიო კლუბის ეგიდით გადის. წლეულს ამ კლუბს დაარსების 15 წელიწადი შეუსრულდა და ამ ხნის განმავლობაში მისი წამყვანის — მეცნიერის, პედაგოგისა და ტელეჟურნალისტის ბენია თხილავას თავკაცობით ამ ბოლო პარასკევსაც ტრადიციული ერთსაათიანი პროგრამით 750-ედ წარსდგა მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე.

ანა საკანდელიძე

◎ ალიანჩალიანი

შეუმოწმებლად ცეცხლსასროლ იარაღს ვერ შეიძენთ

საქართველოს იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის განცხადებით, მთავრობამ დაამტკიცა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი ძალიან მნიშვნელოვან თემებზე.

როგორც პრესკონფერენციაზე თეა წულუკიანმა განაცხადა, შემუშავდა იარაღის შესახებ კანონში, ასევე სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებები.

მინისტრის განმარტებით, ამ ცვლილებების თანახმად, მკაცრდება იარაღზე წვდომის წესები — ნებართვის შემთხვევაში, დღეს 18 წლიდან ადამიანს შეუძლია შეიძინოს, შეინახოს და ატაროს იარაღი, ახალი ცვლილებებით კი, იმ პირს, ვინც ითხოვს ნებართვას იარაღის შეძენაზე, შენახვაზე ან ტარებაზე, აუცილებლად უნდა იყოს 23 წელს მიღწეული.

წულუკიანის განმარტებით, 21 წლის ზღვარი დგინდება სპორტული, გაზისა და სანადირო იარაღის შემთხვევაში.

— მთავრობა მიიჩნევს, რომ 18-დან 23 წლამდე ახალგაზრდას უნდა აინტერესებდეს სწავლა, თვითგანვითარება, დაოჯახება, პროფესიული კარიერა და არა — იარაღის ფლობა. ჩვენ ჩავდეთ სანადირო იარაღის შემთხვევაში დათქმა, რომ ახალგაზრდას, რომელსაც არ მიუღწევია 21 წლის ასაკისთვის, მშობელთან ან სხვა უფროსთან ერთად საშუალება ჰქონდეს, სანადირო საქმიანობას მისდიოს, თუკი ეს მის ინტერესებში იქნება“, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

მისივე თქმით, ყველა ის პირი, რომელსაც უნდა მოიპოვოს ნებართვა ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა-შენახვა-ტარებაზე, ვალდებული იქნება, გაიაროს გამოცდა — ის შემოწმდება პიროვნულად იმისათვის, რათა გაიცეს ნებართვები მისი სანდოობის და ფსიქიკური თავისებურებების მიხედვით.

იარაღის უკანონოდ ტარება 6 წლამდე პატიმრობით დაისჯება

როგორც პრესკონფერენციაზე იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა, იარაღი უნდა იყოს დაშლილი, განმუხტულ მდგომარეობაში და სხვადასხვა თავისებურებებით შენახული.

— შენახვის წესების დარღვევა გამოიწვევს პირის ადმინისტრაციულ პასუხიმგებლობას. ძალიან მნიშვნელოვანი სიახლეა ისიც, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლში შედის ცვლილება. ამ მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც ეხება იარაღის უკანონო შეძენა-შენახვას, მკაცრდება და ჯარიმა აღარ იქნება სანქცია. ამიერიდან პირი, რომელიც უკანონოდ შეიძენს ან შეინახავს იარაღს, მაქსიმალურ სასჯელად, სამის მაგივრად, ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთას მიიღებს, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

მისივე თქმით, მნიშვნელოვანი სიახლეა ისიც, რომ ამავე 236-ე მუხლის მეორე ნაწილში, რომელიც ეხება იარაღის უკანონო ტარებას, ეს დანაშაული აღარ იქნება ნაკლებად მძიმე კატეგორიის და იქნება მძიმე დანაშაულის კატეგორიაში.

„აქაც ჯარიმის სანქცია უქმდება და შემოდის თავისუფლების აღკვეთა არა 3-დან 5 წლამდე როგორც იყო, არამედ 4-დან 6 წლამდე.

მინისტრის განცხადებით, ახალი ცვლილებების თანახმად, ასევე ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა-შენახვა-ტარებაზე უფლებას ვერ მოიპოვებს პირი, რომელიც ნაკლებად მძიმე დანაშაულზე, იარაღის გამოყენებით ან ძალადობით არის ბრალდებული. როგორც თეა წულუკიანმა აღნიშნა, კანონში ამ სიის ჩამონათვალი იქნება. მისივე განმარტებით, ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა-შენახვა-ტარების უფლებას ვერ მოიპოვებს ის პირი, რომელიც არის ადმინისტრაციული წესით სახდელდადებული ისეთ შემთხვევებში, როგორიც არის წვრილმანი ხულიგნობა, საჭესთან მთვრალ მდგომარეობაში ჯდომა, ან როდესაც პოლიციას გაუწია წინააღმდეგობა.

მისივე თქმით, ცვლილებების თანახმად, ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ თუკი პირი იქნა დეპორტირებული საზღვარგარეთიდან იმ მიზეზით, რომ საზღვარგარეთ ჩაიდინა სიცოცხლის ან ჯანმრთელობის წინააღმდეგ დანაშაული, მას საქართველოში არ ექნება იარაღის შეძენა-შენახვა-ტარებაზე უფლების მოპოვების საშუალება.

ინტერპრესი

ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №225

რას და რატომ ვინარჩუნებთ წარსულიდან

აქ, შუაგულ ევროპაში, მეგაპოლისის აჩქარებული რიტმის პარალელურად, ადამიანები წინა ცხოვრებაში დაბრუნების, წარსულის გაცოცხლების სურვილით, სახელდახელოდ აგებულ სცენებსა თუ ფიცარნაგებზე, კოსტიუმირებული პერსონაჟებით სავსე მოედნებზე, ძველ, უკვე დავიწყებულ ამბებს და გმირებს ადრინდელი პათოსით და ტერმინოლოგიით ანსახიერებენ.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. ქალაქი ბერნაუ. ადგილობრივთა სახალხო ზეიმი – ჰუსიტების ფესტივალი, რომელიც ტრადიციულად მრავალი წელია, ტარდება. მოდიან ოჯახებით, მცირეწლოვანი შვილებით... დიდებიც, ბავშვებიც, ძველი რაინდების თუ ხელოსნების ტანსაცმელში გამოწყობილნი, ამ სანახაობას უერთდებიან. მოდიან არა მარტო თუნდაც, ძველი წესით დაყენებული ლუდის დასაგემოვნებლად, არამედ თითქოს რეალური დროიდან გასვლით სურთ, შეხვდნენ ერთმანეთს იქ, სადაც წარსული და აწმყო ერთდროულად განიცდება.

მაგრამ გლობალიზაცია? ე. წ. ლიბერალიზმი? წარსულის უარყოფის ევრო- ამერიკული გამოცდილებები? ეს სცენები, ტრადიციებთან დაბრუნების მცდელობები ხომ თანამედროვე იდეოლოგიას უპირისპირდება. იქნებ სულაც არ არის ჩვენი დროების ევროპელის მისწრაფება წარსულის ნანგრევებზე „კაზანტიპის“ მაგვარი „ფართებით“ გადავლა ან ის ემპირიული „თავისუფლება“ მიბაძულობის სენით შეპყრობილი ქართველები ასე რომ „აპიარებენ“.

სამწუხაროდ, გავიდა ის დრო (ვიმედოვნებ სრულიად, ბოლომდე არა თუ ვერა), როცა ქართველებს, კავკასიელებს, წინაპართა ტრადიციების ღირსებით მატარებელ ეთნოსად თვლიდნენ და ეს გახლდათ ძირითადი ხიბლი ჩვენი მენტალიტეტის...

გერმანიის ძველი ქალაქის ასევე ძველ შენობასთან ჩვენ შევხვდით არა საკუთარი ბიოგრაფიის და ჩავლილი წლების გამო გარდასულ დროზე ჩაჭიდებულ ხანდაზმულ ადამიანს, არამედ მშვენიერ გოგონას, რომელიც თავისი გენეტიკური წარსულის ამოცნობასთან ერთად ზოგადად, ტრადიციული ღირებულებების მნიშვნელობის გააზრებას ცდილობს და შესაძლო ფორმასაც უძებნის.

ქ. ბერნაუში, ბერლინის ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტთან ალექსის ჰაიმან-ვოლფთან ინტერვიუ აიღო და ფოტოები მოგვაწოდა რეჟისორმა ზვიად მიქელაძემ.

* * *

ბერლინთან ახლოს, პატარა ქალაქ ბერნაუში ჩავედი ჰუსიტების ფესტივალის გადასაღებად. ცოტა ადრე მომიწია ჩასვლა და იქვე ახლოს მდებარე ძველებურ, გერმანულ სახლს ჩავუარე. მოულოდნელად დავინახე შენობის წინ, კართან მჯდომარე მომხიბვლელი, ახალგაზრდა ქალი. ის მშვიდად იყურებოდა და მის გვერდით კი, პატარა მაგიდაზე, სამოვარში ჩაი დუღდებოდა. ღიმილით მომმართა:

– ჩაის ხომ არ მიირთმევთ?

– თითქოს ამ შემოთავაზებას ველოდი. ერთმანეთს გამოველაპარაკეთ. სამოვრიდან ჩაი ჩამომისხა და თავისი პროექტის შესახებ მიამბო. მისი მიზანი იყო გამვლელები სამოვრის გარშემო შემოეკრიბა და ძველი სახლის ისტორიით და მნიშვნელობით დაეინტერესებინა. ამის შემდეგ ქალაქის მაცხოვრებლებს ამ სახლში თავიანთ ოჯახებში შემონახული ძველი ნივთები, ფოტოები - რელიკვიები უნდა მიეტანათ და მუზეუმი მოეწყოთ (შორეული ასოციაცია ჩვენთვის ცნობილ თემასთან, ნიკო ფიროსმანის მცდელობასთან, ადამიანებს სამოვრის გარშემო ესაუბრათ ხელოვნებაზე...)

– შემთხვევით ბერნაუში ხომ არ ცხოვრობთ? – ეკითხებოდა გოგონა გამვლელებს. – ხომ არ გინდათ წაიღოთ ეს ბარათი? აქ წერია თუ როგორაა შესაძლებელი, ყველამ ერთად ჩვენს ისტორიას მოვუაროთ, შევაგროვოთ ნივთები და ფოტოები მუზეუმისთვის, რომელიც ამ სახლში უნდა გაიხსნას. მადლობთ, მოგვიანებით ისევ შევხვდებით, იმედია...

ვინაობა ვკითხე.

– ჩემი სახელია **ალექსის ჰაიმან-ვოლფი.** ვარ ბერლინის ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტი. ახლა ვზივარ ქალაქ ბერნაუს ერთ-ერთი ძველი სახლის წინ. ეს ქალაქის უძველესი შენობაა. დღეს პირველი დღეა იმ პროექტისა, რის გაკეთებასაც ვაპირებ. ამ ძველ სახლში მინდა, მუზეუმი დავაარსო აქაური მოსახლეობის მონაწილეობით. ნივთები ყველასგან ანუ ყველას მიერ მოძღვნილი ნივთებით – ფოტოებით, საგანებით, რელიკვიებით, რომელთაც თანამდევი ისტორიებიც ახლავს. მაინტერესებს, შეგვიძლია თუ არა წარსულის გახსენება და როგორ წარმოგვიდგენია ისტორიის მნიშვნელობა, ან როგორ არის შესაძლებელი, რომ ადამიანებმა, თუნდაც თავიანთ საკუთარ სახლებში, პრივატულ სივრცეში, საოჯახო მუზეუმები იქონიონ. ამ იდეის განხოციელებას ამ პატარა ქალაქ ბერნაუში ვიწყებ.

– რატომ მაინცდამაინც ბერნაუში?

– ბერნაუ ძალიან საინტერესო ქალაქია. პატარა ქალაქი, რომელსაც ბევრი აქვს გადატანილი. უფროს თაობას ალბათ ახსოვს მსოფლიო ომი, მოგვიანებით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. მაინტერესებს, ასეთი ისტორიული ცვლილებების შემდეგ, წარსულისგან რა შემორჩა ადამიანებში და თავად რისი შენარჩუნება შეძლეს.

– ეს სამოვარი შენს წარმოდგენაში მონაწილეობს?

– საკმაოდ დიდი ხანი ვმუშაობდი ლოს-ანჯელესის მუზეუმში, სადაც იყო რუსული ჩაის კუთხეც. იქ შევნიშნე თუ როგორი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამოვარს, თუ როგორ შეუძლია ამ არაჩვულებრივ ნივთს თავის გარშემო ადამიანთა შემოკრება. ეს სასარგებლო ნივთიცაა, რომელშიც ძალიან ბევრი ჩაის მოდუღება შეიძლება და ბევრ ადამიანს გაუმასპინძლდები. შესახედავადაც ლამაზია. მოაქვს კარგი ატმოსფერო და თავისი ისტორიები. თავადაც იწვევს ისტორიებს. მე სიამოვნებით ვზივარ სამოვრის გვერდით და სიამოვნებით ვსვამ ჩაის ადამიანებთან. ძალიან სასიამოვნოა, როცა ეს სიტუაცია ქმნის კონტაქტს უცნობებთან და დაახლოების, ისტორიების გაცვლის შესაძლებლობას.

– არ არის შენთვის მოსაწყენი, რომ ზიხარ მარტო და ელოდები? გამვლელი შეიძლება დაინტერესდეს ან არ დაინტერესდეს შენი შეთავაზებით. რა არის აზრი ამ მოლოდინის?

– დღეს პირველი დღეა და მინდა, ადამიანების ყურადღება მივიქციო. მინდა, მათ გავაგებინო, რომ ამ ცვლილებების შემდეგ, ვგულისხმობ გერმანიის გაერთიანებას, ეს სახლი დაცარიელებულია, ცარიელია და ის, რაც შეიძლება ამ სახლში განხორციელდეს, მხოლოდ მათი თანამონაწილეობითაა შესაძლებელი. შიგნით რომ დავმჯდარიყავი, ძნელი იქნებოდა ჩემი შემჩნევა. აქ მაქვს პატარა ბანერი, რითაც ყურადღებას მივაქცევინებ გამვლელებს.

– როგორ ფიქრობ, შენი მცდელობა შედეგს გამოიღებს?

– ძნელია ამის თქმა პირველ დღეს, თუმცა ადამიანების გაცნობა ძალიან მნიშვნელოვანია. თუ მხოლოდ ბანერს დაინახავენ, ძნელია მათი დაინტერესება, **მაგრამ როგორც კი ჩემი სახით ამ იდეის მატარებელს** გაეცნობიან და დაელაპარაკებიან, თავად გადაწყვეტენ, ღირს თუ არა მის განხორციელებაში დაეხმარონ, მონაწილეობა მიიღონ.

– ირგვლივ ყოველდღიურობაა, თანამედროვე რიტმი და უცებ შენი სცენა, ამ რიტმიდან სრულიად ამოვარდნილი, თითქოს სულ არ ერწყმის ჩვენი დროის დინებას. არ მინდა დავამძიმო ჩემი შეკითხვა, მაგრამ თითქოს მარადისობის წამი უპირისპირდება წარმავალ ყოველდღიურ რიტმს. არის თუ არა ეს შენი შეგნებული გათვლა, შენი მიზანი?

– სიმართლე რომ გითხა, ამ პროექტის საფუძველია ჩემი რწმენა წარსულის მოგონებებისადმი, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია გავიხსენოთ, მოვიგონოთ და **რომ ჩვენ გვქონდეს ნდობა საკუთარი მოგონებებისადმი,** საკუთარი დამოკიდებულება ისტორიისადმი. მე ძალიან ბევრს ვფიქრობ დროის მეხსიერებაზე და შევამჩნიე, რომ დაძინებისას ვოცნებობთ და როცა ვიღვიძებთ, ამ ოცნებებს ვინიშნავთ. მაშინ წარმოიშვება ერთგვარი ხიდი საკუთარ ოცნებათა შორის. მოგონებებიც ამ ოცნებას ჰგავს. როცა ადამიანი იწყებს მოგონებას, ის გახსნილია ამ მოგონებებისადმი და მერე ფიქრობ, რომ ცხოვრობს წარსულთანაც... მოგონება არის დღევანდელობის ნაწილი, ჩვენი ნაწილი. როგორც კი მოგონებების კარს ვაღებთ, შეგვიძლია ისეთ დროში ვიარსებოთ, რომელიც ერთდროულად არის წარსულიც და აწმყოც.

– რამდენად მნიშვნელოვანია ეს შენი მცდელობანი თანამედროვე ევროპელებისთვის, ანუ რამდენად არის ეს ყოველივე მათი ფიქრის საგანი?

– ორი წელია, ვარ გერმანიაში და ვფიქრობ, რომ გერმანელები ცდილობენ, იყვნენ მოდერნული სამყაროს ნაწილი. მას შემდეგ რაც მოდერნი დაიწყო, გერმანელების უმრავლესობას სურს, იყოს მოდერნული, ვიდრე ტრადიციული. ამას აქვს ისტორიული მიზეზებიც. მე ვეძებ ობიექტებს, იმას, რაც რაღაცნაირად გადარჩა ადამიანებში. ვფიქრობ იმასაც, რომ ბევრ ადამიანს არ სურს ძველ ნივთებში ანუ წარსულში ინვესტირება.

– კი, მაგრამ როგორ ფიქრობ, რამდენად სჭირდება დღევანდელ ევროპელს ისეთი რამ, რაშიც ის პირდაპირ სარგებელს ვერ ხედავს?

– ვფიქრობ, ამერიკისგან განსხვავებით, საიდანაც მე მოვდივარ, ევროპაში არის საკმაოდ დიდი ინვესტირება კულტურაში. მუზეუმები არის ის, სადაც თავმოყრილი ძველი ნივთები საერთო ადამიანურ წარსულს ქმნის.

– შენ მითხარი, რომ ეს მოქარგული გადასაფარებლები საქართველოდანაა...

– დიახ, ეს პატარა გადასაფარებლები მართლაც საქართველოდანაა. პირველ კურსზე, როცა სწავლა დავიწყე ბერლინის ხელოვნების უნივერსიტეტში, გავხსენი ჩაის კუთხე. მინდოდა სტუდენტების ერთად თავშეყრა. ჩემმა უკრაინელმა მეგობარმა, რომელიც ახალი ჩამოსული იყო საქართველოდან, ეს სუვენირი მაჩუქა - პატარა გადასაფარებლები ჩაის ჭიქების დასაწყობად.

– ეს ყველაფერი ისე გამოიყურება, როგორც თეატრალური სანახაობა.

– ხო, იქნებ ასეცაა...

– რას გვეტყვი შენი ოჯახის წარსულზე?

– დედის მხრიდან ჩემი ოჯახის გენეალოგია უკრაინიდან იწყება. ისინი არიან უკრაინელი ებრაელები. დიდი, დიდი პაპა იყო ბელორუსიდან, მინსკიდან. შემდეგ კიევში წავიდა, ერთი ვაჭრის ქალიშვილებს ამეცადინებდა. აქედან ერთ-ერთი შეუყვარდა და ის გახდა ჩემი დიდი, დიდი ბებია. 1906 წელს ორივენი ნიუ-იორკში ჩავიდნენ. ეს არის ამერიკული ისტორიის დასაწყისი... მამის წინაპრები ამერიკაში მე-19 საუკუნის დასაწყისიდან ცხოვრობდნენ. მისი დიდი, დიდი, დიდი პაპა იყო გერმანელი ვაჭარი. ამერიკაში ერთი ინდიელი ქალი შეუყვარდა და იქორწინეს. წინაპრების ისტორია უნდა ვიცოდეთ, რომ მასთან კავშირი გვქონდეს. მე მყავს ბებიები, რომლებთანაც ძალიან ახლო ურთიერთობა მაქვს. ისინი დღემდე რჩებიან ჩემთვის მნიშვნელოვან პერსონებად და გარკვეულწილად ჩემს ცხოვრებასაც განსაზღვრავენ. ცოტათი განაპირობებენ იმასაც, რასაც ახლა ვაკეთებ.

– იმ კონტექსტში, რომ წარსული ჩვენშია, როგორ ცხოვრობენ წარსულის ადამიანები შენში?

– მეცნიერებაში არის მიმართულება, რაც ცოტა ზედმეტად მეცნიერულად და მშრალად ჟღერს, რასაც ახლა ვიტყვი. ის გვაუწყებს, რომ ჩვენი გენები, ქრომოსომები ძალიან, ძალიან გრძელი გენეალოგიური ხაზით ჩამოყალიბდნენ ისეთები, როგორიც ახლა ჩვენშია. საერთოდ, **რა ქმნის ჩვენს ყოფას ისეთებად, როგორებიც ვართ.** გენეალოგია კომბინირებულია გარემოსთან, რის მიხედვითაც ცხოვრებაში **ჩვენ ვართ ჩვენ.** ამ ყველაფერს გააჩნია როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური მხარეები. როგორ ფსიქიკურ გარემოსაც შევქმნით, იმისდა მიხედვით რაღაც საქმეები გამოგვდის ან რაღაც საქმეები ნაკლებად გამოგვდის. ვფიქრობ, ეს ძალიან დიდ აზრს ატარებს, რომ ეს ყველაფერი გაგვაჩნია ანუ გვაქვს გენეალოგია. რამდენად შეგიძლია ამგვარი აზრი გამოიხატოს, დამოკიდებულია შენივე პიროვნულობასა და რწმენაზე.

– აი, ამ წარსულთან კავშირი განსხვავებულია ევროპულ და ამერიკულ საზოგადოებებს შორის?

– ძნელია განზოგადება. კონკრეტულად გერმანიაშიც კი არსებობს განსხვავებული დამოკიდებულებები წარსულის მიმართ. ამიტომ ძნელია თქმა, რამდენად განაპირობებს ამას კულტურული განსხვავებები. ამერიკაში ძალიან ბევრი ადამიანია, რომლებმაც საერთოდ არ იციან საიდან მოდიან. თუმცა მე უფრო იმ აზრს ვემხრობი, რომ ახლა, ამ თვალსაზრისით, დიდად არ განვსხვავდებით ევროპელები და ამერიკელები.

– შენ ხარ ევრო-ამერიკული სამყაროს შვილი, ანუ ორივეს აერთიანებ. ეს კულტურული გლობალიზაცია, შესაძლოა, საფრთხეს შეიცავს უფრო პატარა ხალხების თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის, როგორიცაა მაგალითისთვის, საქართველო. შენ ევრო-ამერიკული სამყაროს წარმომადგენელი, როცა ამ პროექტს ახორციელებ, რა შეგიძლია უთხრა საქართველოს ახალგაზრდა თაობას, რას შესთავაზებდი მათ?

– ვისურვებდი, რომ ყველა სკოლაში ისწავლებოდეს საკუთარი ოჯახების თხრობითი ისტორია. ბავშვები ყვებოდნენ წინაპრებზე, ოჯახზე, გენეალოგიაზე. კარგია, როცა შესაძლებელია ასეთი საოჯახო ისტორიების მოსმენა, თუმცა, ჩვენს დროში ეს ძნელია, რადგან ეს არის დიდი მიგრაციების ეპოქა. მაგალითად, მე ვარ ლოს-ანჯელესიდან, მაგრამ ახლა ვზივარ ბერნაუში. შენ ხარ საქართველოდან და ახლა აქ ხარ... და აქ არის ძალიან დიდი მოძრაობა, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობაში. ადამიანები ძალიან ბევრს მოგზაურობენ. ამაში, რა თქმა უნდა, ბევრი შესაძლებლობაა, მაგრამ ძალიან ბევრია ხიფათიც. ამიტომ ტრადიციები და ცოდნა, რაც ჩვენი წინაპრებისგან მოდის, მოვლილი უნდა იყოს. საჭიროა ადამიანები, რომელთაც ამგვარი ინტერესები გააჩნიათ და რომლებიც ამისთვის არიან მზად და ასევე მზად არიან, სხვებს მოუსმინონ.

– აქ დღეს რაინდული ფესტივალი ტარდება. ეს რაიმე კავშირშია შენს იდეებთან?

– მას შემდეგ რაც ბერნაუში ჩამოვედი, ყველა საუბრობს ჰუსიტების ფესტივალზე. ბერნაუს მცხოვრებლები ამით ძალიან ამაყობენ. ეს არის დიდი ტრადიცია. დავათვალიერე ამ ზეიმის ძველი სურათებიც. ის საუკუნეების მანძილზე ტარდება და სიამაყით გამოიხატება ტრადიციების გაგრძელება. ძალიან საინტერესოა, როცა უძველესი ისტორიები ასეთი ფორმით ცოცხლდება, რადგან ეს უშუალოდ განსაზღვრავს მათ აწმყო ცხოვრებას. იძლევა ფანტაზიის გაშლის საშუალებას და რაღაც სიხარულს ამკვიდრებს. ძალიან მომწონს, რომ ისტორიით ინტერესდებიან და ადამიანებს ჯერ კიდევ აქვთ ფანტაზიის უნარი...

ასე კლავდნენ საქართველოში...

ნერილის სათაური ალბათ გურამ ასათიანის ესეის **„ასე უყვარდათ საქართველოში“** პერიფერიზირებაცაა და ისეთ პასუხგაუცემელ კითხვებთან მივყავართ, გრიგოლ რობაქიძეს უმძიმესი სიტყვები რომ ათქმევინა: **„მე იმ ერს არ ვენდობი, რომელმაც ილია მოკლა“.**

ილიას მკვლელობის თარიღმა (ახლახან ტრადიციულად აღინიშნა), ძნელი სათქმელია, შეცვალა თუ არა ჩვენი საზოგადოების ცნობიერება.

ლოგიკის ფუნდამენტური კანონი გვკარნახობს: **„რახან ერთხელ, ესე იგი მრავალგზის“...** და ამ ნიშნით, კიდევ ახალი ტრაგედიებისთვის გვამზადებს. მაგრამ ოთარ ჭილაძის ლირიკული გმირისა არ იყოს: „მე ისევ მზად ვარ უარესი დღისთვის, თუმცა უკეთეს დღეებზე ვფიქრობ“...

ვისაც **„პოეტის მაღალი ლანდი“** უწოდეს და თითქოს **„ასე უყვარდათ საქართველოში“** ილიას მკვლელობასთან დაკავშირებით, მარად დაუვიწყარი და სამწუხაროდ, მარად თანამდევი სიტყვები დაგვიტოვა **„ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველოვ!“...** არანაკლებ განწირული აღმოჩნდა.

ლიტერატურის ისტორიამ იცის აკაკის ცხოვრების ბოლო წლების სევდა-ნაღველიც, სიღატაკეც, განუკითხაობაც, ავადმყოფობაც... მეტიც, მავანს მისი მკვლელობაც განუზრახავს... ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დიდ რეზონანსთან შედარებით, ეს ფაქტი ნაკლებადაა ცნობილი:

უსახლკარო, უკვე მოხუც აკაკის, ქუთაისის სასტუმროს იაფფასიან ნომერში შეხიზნულს, როგორ დაადგა თავს მკვლელი, ამ გამაოგნებელ ამბავს **სოსიკო მერკვილაძე** გვიამბობს, წიგნის ცნობილი გამომცემელი და მწიგნობარი.

ღამე იყო თურმე და აკაკის თავის ნომერში ეძინა...

„...საათის სამი გახდა. ყველას ეძინა... უცებ ფაჩუნი შემომესმა. ავსწიე თავი. დავუგდე ყური, მაგრამ ისევ სიწყნარე იყო... მალე კვლავ შემომესმა ფეხის ხმა და შემდეგ კარის ჭრიალიც. წამოვხტი ზეზე, გავვარდი მოაჯირზე და უცებ თვალი მოვკარი, რომ აკაკის ოთახში ვიღაცა კაცი შეძვრა, ელვის სისწრაფით გავექანე და მეც აკაკის ოთახში შევვარდი.

ღია კარებში შემოჭრილ სინათლის შუქზე დავინახე აკაკის საწოლთან ავაზაკის ხელში აღმართული, გაპრიალებული ბებუთი... ის იყო, უნდა ჩაეკრა გულში მშვიდათ მძინარე პოეტისათვის, რომ მივვარდი ავაზაკს, მარცხენა ხელი ვტაცე საყელოში და უკან გადმოზნექილს მარჯვენა მუშტი დავარტყი სახეში. უცებ ვსტაცე მარჯვენა მაჯაში და შევძახე: „დაადგე ნაჯახი, თორემ გაგათავებმეთქი“. ავაზაკმა ხელი უშვა იარაღს და აკაკის ლოგინის წინ კრიალი მოიღო ბებუთმა. მგოსანი შეკრთა. მე იმწამსვე გამოვათრიე გარეთ ავაზაკი. ხმაურობაზედ გამოვიდნენ გარეთ ნემსაძე, ლეჟავა, და სხვებიც... ჩვენს აღშფოთებას საზღვარი არა ჰქონდა. თავი ვეღარ შევიმაგრეთ, ვეცით ავაზაკს და კინაღამ დავაღრჩეთ. იგი უცებ გავათრიეთ მოსამსახურეების განაპირა ოთახში. ავაზაკი ტირილით გვევედრებოდა:

– შემიბრალეთ, ნუ მომკლავთ... მე სიმართლეს გეტყვით... ჰა, წაიღეთ ეს ხუთი ათ თუმნიანი, რომელიც იმ კაცის მოსაკლავად მომცეს... ან კიდევ ქამარი... ყველაფერი წაიღეთ, მხოლოდ ნუ მომკლავთ... ნუ დამაღრჩობთ...

– ხმა, კრინტი, შე წუპაკო! შენა გსურს შენებრ ჩვენც ფულით შეგვისყიდო? არა, მაგ ფულს საიქიოს გაგატანთ! სთქვი, ჩქარა, ვინ მოგგზავნა, მოგისყიდა? რათა, რისთვის?

– რას სჩადიხართ, მართლა არ მოკლათ ეგ კაცი! – მოგვაძახა კარებიდან მწუხარე აკანკალებული ხმით. ეს იყო აკაკი, რომელსაც ტანისამოსი გადაეცვა და შემოვიდა ჩვენთან.

აკაკის დანახავაზე შევკრთით, სახტად დავრჩით, მისმა ფერშემკრთალმა სახემ ჩვენ ყველანი ჩაგვაფიქრა.

– თქვენ მიბრძანდით, ბატონო, თქვენს ოთახში, დამშვიდდით, მოისვენეთ. ამაზე ნუ სწუხხართ, ამას ჩვენ მოვუვლით – ვუპასუხეთ ჩვენ.

– როგორ დავმშვიდდე ამისთანა მდგომარეობაში? გაანთავისუფლეთ, თუ გიყვარდეთ...

– როგორ, ბატონო? თქვენი მკვლელი, ავაზაკი გავანთავისუფლოთ? მაშინ ჩვენ თავი ცოცხალი რაღად გვინდა?

– გეუბნებით, არ შეიძლება კაცის ცემა, კაცის წვალება და სიკვდილი-მეთქი! გთხოვთ, ახლავე, ჩემის თვალის წინ გაათავისუფლოთ ეგ შემცდარი ადამიანი და გაუშვათ უვნებლად...“

ის კაცი მუხლებზე დაეცა... ეს რა ცოდვას გადავრჩი, რა კაცს ვკლავდი: არც კი ვიცოდი, რას ვშვრებოდიო...

* * *

არც მეზი, არც ნაკლები, 50 თუმნად გახლდათ შეფასებული „საქართველოს უვვირგვინო მეფის“ სახალხო მგოსნის სიცოცხლე. დიახ, ასე კლავდნენ საქართველოში...

მაცხოვრის სიტყვების მისტერია: **„შეუნდე რამეთუ არ იციან, რასა იქმან“...** და ილიას „ლოცვაც“, ოლღა გურამიშვილის წერილიც გენერალ-გუბერნატორისადმი თავისი ქმრის ილია ჭავჭავაძის მკვლელების შეწყალებას რომ ითხოვდა, ილია შეუნდობდაო მათ, თავის გზააბნეულ ძმებად მიიჩნევდაო... აკაკის ცხოვრებაშიც განხორციელდა: „გაანთავისუფლეთ **შემცდარი ადამიანი“...**

დროის გადასახედიდან, აქ ამ მარადიული ტანდემის: ილიას და აკაკის მზერა კიდევ ერთხელ, საბედისწეროდ შეხვდა ერთმანეთს.

ნინო ხოფერია

◎ საინვესტიციო გარემო

კომპაქტური პროექტების უპირატესობა

არაერთი დაპირების მიუხედავად, თითქოს საპარტნიორო ფონდის ერთგვარ მემკვიდრეს — თანაინვესტორების ფონდს — მილიარდ 100 მილიონ დოლარის ღირებულების ათი პროექტის დაფინანსება უნდა დაეწყო, რაც მრავალი ათასი ახალი სამუშაო ადგილის შექმნის საშუალებას შექმნიდა, საქმე ადგილიდან ძლივსძლივობითაა დაძრული. არსებული ინფორმაციით, თანაინვესტირების ფონდი ამჟამად მხოლოდ ორ პროექტში მონაწილეობს: პირველი მათგანია ჰიდროელექტროსადგურ მტკვარიჰესის მშენებლობა, მეორე კი კრიპტოვალუტის, ანუ ელექტრონული ფულის საპროცესინგო ცენტრი, რომელიც ცოტა ხნის წინათ გორში ამოქმედდა. ამ უკანასკნელში თანაინვესტირების ფონდის წილი 10 მილიონ დოლარს შეადგენს, ხოლო თავად პროექტში მონაწილეობა, გრძელვადიან პერსპექტივაში ეროვნული ეკონომიკისთვის კომერციულმა მიმზიდველობამ განაპირობა. კერძოდ კი, ლაპარაკია იმაზე, რომ აღნიშნული საწარმოს ამოქმედების შემდეგ საქართველოში კრიპტოვალუტის მსოფლიოში უდიდესი საპროცესინგო დატა-ცენტრი ამოქმედდება.



ექსპერტების აზრით, საქართველოსთვის, გრანდიოზული პროექტები, რომლებიც მრავალმილიარდიან ინვესტიციებს საჭიროებენ, არც გამოსადეგია და, სხვა თუ არაფერი, მათი განხორციელების სფეროებიც არ არის. ამასთან დაკავშირებით ექსპერტი დემურ გიორხელიძე აღნიშნავს, რომ არ შეიძლება სხვადასხვა საინვესტიციო გარემო არსებობდეს ცალკე — უცხოელი და ცალკე ადგილობრივი ინვესტორებისთვის.

— ქვეყანაში თანამედროვე ეკონომიკის ნორმებზე დაფუძნებული ერთიანი ეკონომიკური ხედვა უნდა ჩამოყალიბდეს. ქვეყნის ეკონომიკისთვის გაცილებით მომგებიანი იქნება უცხოური ინვესტიციების ადგილობრივი ინვესტიციებით შევსება, რაც ჯეროვნად არ ხორციელდება. უდიდესი როლი აქვს აგრეთვე სამართლიანი სამართლებრივი გარემოს შექმნასაც.

ყველაზე მეტად, ასე ვთქვათ, „ინვესტიციატევადი“ დარგი ჩვენში ენერგეტიკაა, თუმცა აქაც არა გიგანტური, არამედ კომპაქტური, რენტაბელური პროექტების განხორციელებაა ყველაზე სასურველი. თუმცა პრობლემა ინვესტორთათვის მაქსიმალურად ხელსაყრელი გარემოს შექმნაცაა, რომლის სრულყოფილად ჩამოყალიბებას საშველი საბოლოოდ არა და არ დაადგა.

რაც შეეხება საპარტნიორო ფონდს, არსებული მონაცემებით, მისი თანამონაწილეობით რვა პროექტი ხორციელდება, 15 საინვესტიციო წინადადება კი განიხილება. აქაც მთავარი ყურადღება ენერგეტიკაში განსახორციელებელ პროექტებსა და საპროექტო წინადადებებზეა გადატანილი. უფრო კონკრეტულად თუ ვილაპარაკებთ, წელს გარდაბანში 230-მეგავატიანი კომბინირებული ციკლის გაზის თბოელექტროსადგურის მშენებლობა დაიწყო, რომელსაც საპარტნიორო ფონდი შვილეული კომპანია საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციასთან ერთობლივად აფინანსებს. გაისად დასასრულებელი ელექტროსადგურის მშენებლობის ღირებულება 200 მილიონ დოლარზე მეტი იქნება. კიდევ ერთი მიმდინარე პროექტია მდინარე ენგურის შენაკადზე ნესკრაზე 310 მეგავატის სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის 2018 წლისთვის დასასრულებელი მშენებლობა, რომლის ღირებულება 760 მილიონი დოლარია. ეროვნული ეკონომიკისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია ანაკლიის ნავსადგურის მშენებლობა, თუმცა კი ამ დიდი პროექტის განხორციელებაში მონაწილეობის მიღების მსურველი სოლიდური ინვესტორი ჯერჯერობით ვერ გამოინახა.

ტურისტული ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარებისთვის მეტად მნიშვნელოვანი იქნება სასტუმრო-გამაჯანსაღებელი ცენტრის „რიქსოს-ბორჯომის“ ამოქმედება, რომელსაც თურქული „დეკონი“ და ყაზახური „ყაზმუნაიგაზ-სერვისი“ ერთობლივად აშენებენ. ცენტრის აშენება 38 მილიონი დოლარი დაჯდება. აგრეთვე დიდი სარგებელი უნდა მოიტანოს უმაღლესი კლასის „წინანდალი-რედისონმა“, რომელიც ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიაზე შენდება. „სილკროუდ ჯგუფის“ პარტნიორობით აშენებული სასტუმროს ღირებულება 223 მილიონი დოლარი იქნება.

სექტემბრის დამლევამდე დასრულდება კურორტ წყალტუბოს განვითარების კონცეფციასა და საინვესტიციო სტრატეგიაზე მუშაობა, რის შემდგომ ქალაქის განვითარების გენერალურ გეგმაზე მუშაობა დაიწყება. აღნიშნული სამუშაო ასევე საპარტნიორო ფონდის მიმდინარე პროექტია.

წლის მიწურულს რუსთავში დასრულდება კომპანია „აისის“ ეგრეთ წოდებული „სენდვიჩ-პანელების“ საწარმო, რომლის ინდუსტრიული დანიშნულების პროდუქცია რკინაბეტონის კონსტრუქციებზე უფრო იაფი იქნება. პროდუქციის ნახევარზე მეტი (55 პროცენტი) ექსპორტზე — რუსეთში, უკრაინაში, ყაზახეთსა და აზერბაიჯანში გავა, დანარჩენი საქართველოში გაიყიდება. პროექტის ღირებულება 6 მილიონი დოლარია.

გარდაბნის რაიონში, თბილისის შემოვლით სარკინიგზო მაგისტრალზე კი ინტერმოდალური ლოჯისტიკური ცენტრი, ინფრასტრუქტურული კვანძი აიგება, რომელიც შიდა სატვირთო გადაზიდვებს, ასევე საერთაშორისო ტრანზიტს მოემსახურება.

ოთარ ტურაბელიძე

გვინეის სოფელში „გულგრილად“ დახოცეს ებოლის ვირუსით 8 დაავადებული

დაღუპულთა შორის არიან ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენლები და ექიმები. ჯგუფი აწარმოებდა ახსნა-განმარტებით მუშაობას მოსახლეობაში იმ საკითხებზე, რომლებიც ებოლას ეპიდემიასთანაა დაკავშირებული. მათი ცხედრები აღმოაჩინეს პატარა სოფელში ქალაქ ნზერეკორეს მახლობლად, ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთში.

აშშ-ის სენატის კომიტეტმა მოიწონა კანონპროექტი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ სანქციების გამკაცრებისა და უკრაინისათვის იარაღის მიწოდების შესახებ

კენჭისყრის დროს უცხოეთის საქმეთა კომიტეტში „დიახ“ იყო 18 ხმა, „წინააღმდეგი ვარ“ არც ერთი. დოკუმენტმა მიიღო სახელწოდება „უკრაინის თავისუფლების მხარდაჭერის აქტი — 2014“. კანონპროექტის შემდგომი მსვლელობა კონგრესში ჯერჯერობით ცნობილი არაა. მაგრამ კაპიტოლიუმის გორაზე ამჟამად უკიდურესად ძლიერია ანტირუსული განწყობილება.

ათობით ათასი ფილიპინელი ევაკუირებულია მოახლოებული შტორმის გამო, კოკისპირულმა წვიმებმა წყალდიდობა გამოიწვია

სულ ცოტა 50 ათასმა კაცმა დატოვა თავიანთი სახლები ტროპიკული შტორმის „ფუნგ-ვონგის“ გამო, რომელიც უახლოვდება ფილიპინის დედაქალაქ მანილას, განაცხადა ქვეყნის ხელისუფლებამ პარასკევს. ამჟამად გრიგალი მოძრაობს საათში 65 კილომეტრის სიჩქარით. ფილიპინების მთელ რიგ ქალაქებში უკვე დაფიქსირებულია ძლიერი ზვავები და წყალდიდობანი.

დაიანგარიშეს რეფერენდუმის შედეგები შოტლანდიის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით: ქვეყანა მხარს უჭერს კავშირს დიდ ბრიტანეთთან

ანგარიშებიდან ცნობილია, რომ 32 ოლქიდან მხოლოდ ოთხში აღმოჩნდნენ დიდი ბრიტანეთის შემადგენლობიდან გამოსვლის მომხრეები. დანარჩენ ოლქებში მცხოვრებთა უმრავლესობამ გამოთქვა აზრი შოტლანდიის შენარჩუნებისათვის დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაში.

განცხადება

2014 წლის 13 ნოემბერს, 14 საათზე, შპს „აგარის შაქრის კომპანიის“ ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქარელის რ-ნი, დაბა აგარა, ჩოლოყაშვილის ქ. №11), გაიმართება კომპანიის დაქვემდებარებაში არსებული კირის ქარხნის მიმდინარე საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

ქარხნის მიმდინარე საქმიანობის სფეროა შაქრის წარმოების ტექნოლოგიური პროცესისათვის საჭირო კირის და სატურაციული აირის წარმოება.

საზოგადოების წარმომადგენლებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართზე:

შპს „აგარის შაქრის კომპანიის“ ადმინისტრაციულ შენობაში — ქარელის რ-ნი, დაბა აგარა, ჩოლოყაშვილის ქ. №1;

შპს „გამა კონსალტინგის“ ოფისში — ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ 5(95)59 52 55; 5(95)28 75 60.

საზოგადოებისაგან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღე.

შპს „აგარის შაქრის კომპანიის“ ადმინისტრაცია

◎ კაკალ გულში

ნეტარიანი თქვენები

● „ჩვენი პოლიტიკოსებისგან“ საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით რეფერენდუმი როდის ტარდება?

● ნუთუ არავის აქვს, თუ ვალდებულება არა, უფლება და ინტერესი, რომ შეისწავლოს, — ვისგან და რა რაოდენობით ფინანსდება, და რა და ვის სასარგებლო საქმიანობას ეწევა ზოგიერთი (ბევრი, სხვათა შორის) არასამთავრობო ორგანიზაცია?!

ხომ ცხადია, რომ ამ ა.ს.ო.-ების უმრავლესობა დაკავებულია ქვეყნისთვის მავნებელური, პროვოკაციულ-დივერსიული ქმედებებით, ან, მინიმუმ — უსარგებლო, უმაქნისი ჩხირკედელაობით?!

ალბათ დროდადრო გავიმეორებ ამ შეკითხვას, ვინძლო „შესაბამის“ ყურამდე მიაღწიოს.

● აშუშუ, რაღაც ახალ, ძალიან მაგარ შარში გვხვევს („დიდი დახმარება სამხედრო ხასიათისა“) და რამდენიმე აქაურ დებილს, ეს ამბავი უხარია!

● „ერთ სათვალიან ქალბატონს უბრძანებია, რეზო ამაშუკელი ქსენოფობია და ახლოს არ გავიკაროთ, თორემ სომხების ხმებს დაგვაკარგვინებსო! ჯერ ერთი, თქვე უპატრონოებო, სადაც თქვენ ყრიხართ, იქ ახლოს გაკარებასაც არ ვაპირებ და მეორეც, დავუშვათ მე ბიძინა ივანიშვილს სომხების ხმებს დავაკარგვინებ, მაგრამ თქვენ ქართველების ხმები რომ უკვე დააკარგვინეთ, ამაზე რატომ არ ფიქრობთ?!“

ნეტავ ის სათვალიანი ქალბატონი ვინ იყო?..

● ფეისბუქის ლოცვა: შენ გაიხარე ნაციონალურო მოძრაობავ, როგორც გაახარე ქართველი ერი 9 წლის განმავლობაში. შენ გაიხარე „ოცნებავ“ ისე, როგორც ესენი მოგვაშორე ბოლომდე და ისევ ისენი არიან ყველგან, შენ გაიხარე პრეზიდენტო ისე, როგორი დალაგებულიც ხარ...

● თქვენ, ძმაო, მარტო მიშას მოშორება თუ გინდოდათ ხელისუფლებიდან, გეთქვათ თავიდანვე.. აბა დანარჩენი ნაცები ყველა ადგილზეა, და დაწინაურებულები.. ტელევიზიებიდან ისევ ის ჟურნალისტები გვეღაღადებიან, ქერო მიშას აპრავედნენ (რა, არ თქვათ ახლა, არაო...), რაიონებში ისევ ნაცები სხედან მერიებში და საკრებულოებში თანამდებობებზე... ზონდერები და მკვლელები დააწინაურეთ... ალისტრახოები დააყენეთ.. ერთი მეგის ქარდავა, სოსო თოფურიძე და მასტერა გაკლიათ და ალბათ, წლის ბოლომდე მაგათაც დააბრუნებთ და დაასაქმებთ...

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

ზღვიდან ზღვამდე, კიდით კიდემდე...

იმპერია – სახელმწიფოს ყველაზე მძლავრი ფორმაა, რომელშიც ერთიანი ხელმწიფის (იმპერატორის) მბრძანებლობაში სხვადასხვა ძვეყნები და ხალხებია გაერთიანებული. კაცობრიობის ისტორიის მანძილზე დედამიწის ყველა კუთხეში არაერთი დიდი თუ მცირე იმპერია არსებობდა, რომლებმაც ზოგმა მეტ ხანს, ზოგმაც ცოტა ხანს იარსებეს. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მსოფლიოს ათი უდიდესი იმპერიის ჩამონათვალში თძვენ ვერც რომის, ვერც ოსმალეთის იმპერიების დასახელებას ვერ შეხვდებით, მასში ალექსანდრე მაკედონელის იმპერიაც კი არ არის – ისტორია მათზე გაცილებით დიდ იმპერიებს იცნობს.

იაპონიის იმპერია

თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე იაპონია ერთადერთი იმპერიაა, **დღესდღეობით** მისი იმპერიული სტატუსი უფრო ფორმალური ხასიათისაა, **მაგრამ ჯერ** კიდევ 70 წლის წინათ ტოკიო აზიაში იმპერიალიზმის მთავარი ცენტრი იყო.

მე-20 სუკუნის შუა ხანებში იაპონია გერმანიის მესამე რაიხისა და ფაშისტური იტალიის მოკავშირე იყო. მაშინ იაპონელებმა წყნარი ოკეანის დასავლეთ სანაპიროზე კონტროლის დამყარება დააპირეს და ამერიკის შეერთებულ შტატებს დაუპირისპირდნენ. სწორედ ამ დროზე მოდის იაპონიის იმპერიის ტერიტორიული პრეტენზიების პიკი. იმ ხანებში ქვეყანა ამ რეგიონში, ფაქტობრივად, მთელ საზღვაო სივრცესა და სახალინიდან ახალ გვინეამდე 7,4 მილიონ კვადრატულ კილომეტრ ხმელეთს აკონტროლებდა.

იმპერიის ფართობი: 7,4 მილიონი კვადრატული კილომეტრი.
დედაქალაქი: ტოკიო.
აღზევების დასაწყისი: 1868 წელი.
იმპერიის დაცემა: 1947 წელი.

სპარსეთის იმპერია

ესაა მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი იმპერია, რომელიც ჩ.წ. ა. I ათასწლეულის შუა ხანებში დაფუძნდა. იმ დროს სპარსულმა ტომებმა ახლო აღმოსავლეთის მანამდე არსებული იმპერიების ხალხები დაიპყრეს: ეგვიპტელები, ასირიელები, ბაბილონელები, მიდიელები. აქემენიდების დინასტიის (ჩ.წ. ა. VI-IV ს.ს.) მმართველობის დროს სპარსელთა სამფლობელო თითქმის 8 მილიონ კვადრატულ კილომეტრ ტერიტორიას მოიცავდა, რაც თითქმის ორჯერ აღემატებოდა იულიუს კეისრის დროიონდელ რომის იმპერიის ფართობს. თანამედროვე ირანელთა წინაპართა დიდება და აურაცხავი სიმდიდრე ალექსანდრე მაკედონელის ხელში გადავიდა, რომელმაც სპარსეთის იმპერიის უდიდესი ნაწილი დაიპყრო. მაკედონიელთა შემოსევის შემდეგ, სპარსეთის იმპერია კიდევ ერთხელ გამოჩნდა ძველი სამყაროს რუკაზე, ვიდრე VII საუკუნეში ის საბოლოოდ არაბმა დამპყრობლებმა არ გაანადგურეს.

იმპერიის ფართობი: 8 მილიონი კვადრატული კილომეტრი.
დედაქალაქი: პერსოპელისი
მოსახლეობა: 50 მილიონი კაცი (ჩ.წ.ა. 480 წელს).
აღზევების დასაწყისი: ჩ.წ.ა. 530 წელი.
იმპერიის დაცემა: ჩ. წ. ა. 334 წელი.

პორტუგალიის იმპერია

XVI საუკუნიდან მოყოლებული პორტუგალიელები იბერიის ნახევრკუნძულზე ესპანური იზოლაციის გარღვევის გზებს ეძებდნენ. 1497 წელს მათ ინდოეთის საზღვაო გზა აღმოაჩინეს, რამაც პორტუგალიის კოლონიური იმპერიის დასაწყისს დაუდო საფუძველი. მანამდე, სამი წლით ადრე, „დაუძინებელმა მეზობლებმა“ ტორდელიასის ხელშეკრულება დადეს, რომლითაც იმ დროს ცნობილი მთელი სამყარო გაიყვეს, თუმცა კი პორტუგალიელთათვის არახელსაყრელი პირობებით. ამის მიუხედავად, მათ მაინც მოახერხეს 10 მილიონ კვადრატულ კილომეტრ ტერიტორიაზე გაბატონება, რომლის უმეტეს ნაწილს ბრაზილია წარმოადგენდა. პორტუგალიის კოლონიურმა იმპერიამ არსებობა 1999 წელს დაასრულა, მას შემდეგ, რაც მაკაო ჩინეთს გადასცა.

იმპერიის ტერიტორია: 10 მილიონი კვადრატული კილომეტრი.
დედაქალაქი: კოიმბრა, ლისაბონი.
აღზევების დასაწყისი: 1497 წელი.
იმპერიის დაცემა: 1910 წელი.

(გაგრძელება იქნება)

ნავთის „მეორედ მოსვლა“

ევროპელმა მეცნიერებმა **განაცხადეს, რომ საწვავის წვის ნარჩენებისგან მისი აღდგენის ხერხი შეიმუშავეს.**

პროექტის EC Solar-jet-ის მკვლევარების მტკიცებით, მათ განახლებადი ნავთი შექმნეს, რის მიღწევაც საწვავის დაშლა-მიღების ერთ ჯაჭვში ჩართვით შეძლეს. ტექნოლოგიის არსი ის არის, რომ ნახშირწყალბადიანი ენერგოშემცველის წვის დროს ნახშირჟანგის გაზი და წყალი გამოიყოფა, რომლებიც სინათლის ზემოქმედების შედეგად სინთეტიკურ გაზად გარდაიქმნება, რომელიც შემდგომ კი მაღალტემპერატურული რეაქტორის მეშვეობით კვლავ ტრანსპორტისთვის გამოსადეგ საწვავად გადაიქცევა.

თუმცა ისიცაა, რომ „განახლებად“ ნავთზე ლაპარაკი ჯერჯერობით ნაადრევია – მეცნიერებმა ენერგოშემცველის აღდგენა მისი წვის ნარჩენებისგან ბოლომდე კი ვერ შეძლეს, არამედ მხოლოდ, ასე ვთქვათ, „ნახევარფაბრიკატის“, სინთეტიკური გაზის მიღება მოახერხეს.

რა ამოძრავებს ფილებს?



დედამიწაზე კონტინენტები **რომ გადაადგილდებიან, თანამედროვე გეოლოგიური მეცნიერებისთვის ეს კარგადაა ცნობილი. თავდაპირველად, 1900 წელს, კონტინენტების დრეიფს ოკეანის ერთი კიდიდან მეორემდე გადაადგილების სახით წარმოიდგენდნენ, თუმცა შემდეგ ეს თეორია დაიხვეწა და ეგრეთ წოდებულ „კონტინეტური ფილების თეორიად“ ჩამოყალიბდა.**

ამის შესაბამისად, ოკეანის ფსკერზე ტექტონიკური ფილები ძალიან ნელა მოძრაობენ და მილიონობით წლების მანძილზე კონტინენტებისა და ოკეანეების კონფიგურაციას ცვლიან. თუმცა კი მათი მოძრაობის გამომწვევი მიზეზი მეცნიერთათვის ჯერაც გამოუცნობ ამბად რჩება, რადგან თეორია ამ ფენომენს ვერ ხსნის. ზოგიერთის აზრით, ტექტონიკური ფილების მოძრაობის დაწყებას პირველი იმპულსი რაღაც უმძლავრესი წყალდიდობის მსგავსმა კატასტროფამ მისცა.

აფორიზმები ფიზიკაზე

მეცნიერებები იყოფა ორ ნაწილად – ფიზიკად და მარკების შეგროვებად.

ერნსტ რეზერფორდი.

არსებობს მხოლოდ ის, რისი გაზომვაც შესაძლებელია.

მაქს პლანკი.

როცა განტოლება $E=mc^2$-ს კითხულობ, საკუთარი ენაჭარტალობისა გრცხვენია.

სტანისლავ ეჟი ლეცი.

თავის ფარდობითობის თეორიას აინშტაინი ყოველდღე მიხსნიდა და ცოტა ხანში სავსებით დავრწმუნდი, რომ მან იგი გაიგო.

ჰაიმ ვაიცმანი.

ყველა ელემენტარული ნაწილაკის სახელწოდების დამახსოვრება რომ შემძლებოდა, ბოტანიკოსი ვიქნებოდი.

ენრიკო ფერმი.

ყველაფერში დამნაშავეა აინშტაინი. 1905 წელს მან განაცხადა, რომ აბსოლუტური სიმშვიდე არ არსებობს და მას შემდეგ იგი მართლაც არ არის.

სტივენ ლიკოკი.

ენერგიას უყვარს მატერია, მაგრამ მას სივრცესა და დროსთან ღალატობს.

სლავომირ ვრუბლევსკი.

თუკი ის მწვანეა ან ტოკავს – ეს ბიოლოგიაა, თუ ყარს – ქიმია, ხოლო თუკი არ მუშაობს – ფიზიკა.

სამყაროში სხვებზე გაცილებით ხშირად ორი ელემენტი გვხვდება – წყალბადი და სისულელე.

„მეცნიერებათა მოკლე განმარტებითი ლექსიკონი“.

რელიგიისა და სხვადასხვა ფილოსოფიური მიმდინარეობის განსაზღვრა ჭიქის მაგალითზე

ეს გახლავთ ჭიქის პრიზმის მიღმა დანახული საინტერესო მოსაზრებები ისეთ მარადიულ საკითხებზე, როგორებიც არის რელიგია, მსოფლმხედველობა და ფილოსოფია.



1. **ბუდიზმი:** ჭიქა სინამდვილეში არ არსებობს.
2. **იუდაიზმი:** რატომ არის მაინცდამაინც ჩვენი ჭიქა ნახევრად ცარიელი?
3. **მართლმადიდებლობა:** ჭიქა ნახევრად ცარიელი ჩვენი ცოდვების გამო არის.
4. **კათოლიციზმი:** ჭიქა ნახევრად ცარიელი მხოლოდ ცუდ ადამიანებს აქვთ.
5. **ისლამი:** არ არსებობს ჭიქა, გარდა ჭიქისა.
6. **ფროიდიზმი:** ბავშვობაში ჩვენ არ გვივსებდნენ ჭიქას.
7. **სტოიციზმი:** დიახ, ჭიქა ნახევრად ცარიელია – და მე ამის ღირსი ვარ!
8. **სოციალიზმი:** ჭიქა ცარიელია, სამაგიეროდ, ყველას ერთნაირად უსხია.
9. **კომუნიზმი:** ყველას აქვს უფლება, ჰქონდეს სავსე ჭიქა.
10. **იოგა:** შენ თავად ხარ ჭიქაც და მისი შიგთავსიც.

◎ ვითარება

რამაზ ნოზაძე: კურტანიძემ თანამდებობა უნდა დატოვოს

როგორც გაცნობეთ, ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტ ლუკა კურტანიძეს კარი აუჭედეს. თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილის მოქმედმა და ყოფილმა მოჭიდავეებმა პრეზიდენტი გააკრიტიკეს.

„ჩემი პირადი აზრით ლუკა კურტანიძემ თანამდებობა უნდა დატოვოს. მოჭიდავეთა და მწვრთნელთა აზრია ასეთი, რასაც აბსოლუტურად ვეთანხმები“, — განაცხადა მსოფლიოსა და ევროპის ექსჩემპიონმა **რამაზ ნოზაძემ**.

„პრეზიდენტმა ბეგი დარჩია და რევაზ მინდორაშვილი თანამდებობიდან გაათავისუფლა, თუმცა მთავარი პრობლემა სისტემაშია, რომლითაც ლუკა კურტანიძე მართავს. უგერგილო მმართველი უნდა გადადგეს“, — ამბობს ოლიმპიური ჩემპიონი **დავით გობეჯიშვილი**.

თავად ლუკა კურტანიძემ კრიტიკას აბსურდული უწოდა. ჭიდაობის ფედერაციის თავკაცის განცხადებით ორშაბათს, 22 სექტემბერს თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებების ახალ მწვრთნელებს წარადგენენ.

მანუჩარ გიორგაძე

ლუკა კურტანიძე: ცვლილებები გარდაუვალია

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი ლუკა კურტანიძე თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებების სამწვრთნელო შტაბებში განსახორციელებელ ცვლილებებს, მოჭიდავეთა პროტესტის მიუხედავად, გარდაუვლად მიიჩნევს.

შეგახსენებთ, რომ კურტანიძემ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე 2014 წლის ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე ქართული გუნდების გამოსვლა უარყოფითად შეაფასა და მთავარ მწვრთნელებს რევაზ მინდორაშვილსა (თავისუფალი ჭიდაობა) და ბეგი დარჩიას (ბერძნულ-რომაული) თანამდებობა დაატოვებინა. ამასთან, ორშაბათისთვის ახალი სამწვრთნელო შტაბების წარდგენა დააანონსა, ხოლო მოგვიანებით ვაკის ფალავანთა კლუბში ფედერაციის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო მოჭიდავეები შეიკრიბნენ და კურტანიძის კაბინეტის კარი აჭედეს.

„სამწუხაროდ, ადამიანები, რომლებიც თავიანთი საქმის უკეთ კეთებაზე უნდა ფიქრობდნენ, კარის აჭედვით არიან დაკავებულნი. პრობლემის მოგვარების ერთადერთი გზა ის ცვლილებებია, რომლის განხორციელებასაც ვგეგმავ. ეს ნაბიჯი გარდაუვალია, თუკი გვინდა, რომ მომავალ ოლიმპიურ თამაშებზე შედეგი გვქონდეს. მინდა მათ ვურჩიო, ვინც შიდაგანაწესს არ ემორჩილება, საკითხს საღი თვალით შეხედონ. ქართული ჭიდაობის ინტერესებიდან გამომდინარე ცვლილებები აუცილებლად განხორციელდება“ — განაცხადა ლუკა კურტანიძემ.

ბეჟან დოლიძე

◎ ჭადრაკი

„ნონას“ ხუთიდან - ხუთი!

ბათუმის საჭადრაკო კლუბი „ნონა“ ევროპის საკლუბო ჩემპიონატის ოქროს მედლებს კიდევ უფრო მიუახლოვდა. ქართველმა მოჭადრაკეებმა ზედიზედ მე-5 მატჩი მოიგეს და 10 ქულით ერთპიროვნულ ლიდერებად რჩებიან.



მე-5 ტურში „ნონამ“ რუსული კლუბი „ლადია“ 2.5:1.5 დაამარცხა. გუნდს გამარჯვება ნინო ბაციაშვილმა (2426) მოუტანა, რომელმაც ელენა ზაიაცს (2401) სძლია, დანარჩენი 3 პარტია კი ყაიმით დასრულდა: ნანა ძაგნიძე (2566) ალისა გალიამოვას (2472) დაუზავდა, ბელა ხოტენაშვილი (2507) — ანა ზატონსკიხს (2469), სალომე მელია (2464) კი — ეკატერინა ატალიკს (2421).

„ნონას“ უახლოესი მდევარი რუსული „ნაშე ნასლედიე“ გახლავთ, რომელმაც ებრაული „რიშონ ლეციონი“ 4:0 გაანადგურა და თავი 7 ქულას მოუყარა. 6-6 ქულა აქვთ აქტივში „მონტე კარლოს“ და ხსენებულ „ლადიას“. „მონტე კარლომ“ „უგრას“ (რუსეთი) 3,:0,5 მოუგო, დღის კიდევ ერთ შეხვედრაში კი გერმანულმა „ბად კონიგსჰოფენმა“ „ჰერცლიას“ 4:0 სძლია.

ესპანეთის ქალაქ ბილბაოში მიმდინარე მე-6 ტურში „ნონას“ მდგომარეობის განმტკიცების კარგი შანსი აქვს, რადგანაც ერთ-ერთ აუტსაიდერ „რიშონ ლეციონს“ ეთამაშება. ამ უკანასკნელს ერთადერთი გამარჯვება ისრაელის კიდევ ერთ წარმომადგენელ „ჰერცლიასთან“ აქვს მოპოვებული. „ნაშე ნასლედიე“ სწორედ „ჰერცლიას“ ეთამაშება, „მონტე კარლო“ „ლადიას“ დაუპირისპირდება, ხოლო „უგრა“ — „ბად კონიგსჰოფენს“.

კოგა კოგახიძე

◎ ეპოქის დასასრული

ნა ლი ჩოგბურთიდან წავიდა

გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ნა ლი ჩოგბურთიდან მიდიოდა, ჩოგბურთელმა თავად დაადასტურა ღია წერილით. ნა ლიმ კარიერის დასრულების მიზეზად მარჯვენა მუხლის ტრავმა დაასახელა.

„ოპერაციის შემდეგ ყველანაირად ვეცადე

კორტს სასურველ ფორმაში დავბრუნებოდი. ადრე ეს მოვახერხე, მაგრამ ახლა შეუძლებელი აღმოჩნდა. მთელი კარიერის განმავლობაში მარჯვენა მუხლის ტრავმა მქონდა. სპორტიდან წასვლა სწორი გადაწყვეტილებაა ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის“- განაცხადა ნა ლიმ.

ჩინელი ჩოგბურთელი კორტზე ბოლოს „უიმბლდონის“ ტურნირის მესამე წრეში ვიხილეთ, სადაც ბარბარა ზაჰლავოვა-სტრიკოვასთან დამარცხდა.

აზიელმა ჩოგბურთელმა თავის კარიერაში დიდი სლემის ორი ტურნირი მოიგო — 2011 წელს საფრანგეთის ღია პირველობა და 2014 წელს — ავსტრალიის ღია პირველობა.

ნა ლი პირველი აზიელი ჩოგბურთელია, ვინც ერთეულთა თანრიგში მოიგო დიდი სლემის ტურნირი. ჩინელმა ჩოგბურთელმა თავის კარიერაში WTA-ის 9 ტიტული მოიგო.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

პირველი შედეგები

ჩემპიონთა ლიგის მსგავსად, ახალი სეზონი ევროპის ლიგაშიც დაიწყო. გაუწყებთ სასტარტო ტურის შეხვედრათა შედეგებს.

„ა“ ჯგუფი. „გლადბახი“ — „ვილიარეალი“ 1:1, „აპოლონი“ — „ციურიხი“ 3:2.

„ბ“ ჯგუფი. „ბრიუგე“ — „ტორინო“ 0:0, „კოპენჰაგენი“ — ჰიკი 2:0.

„გ“ ჯგუფი. „პარტიზანი“ — „ტოტენჰემი“ 0:0, „ბეშიქთაში“ — „ასტერასი“ 1:1.

„დ“ ჯგუფი. „ზალცბურგი“ — „სელტიკი“ 2:2, „დინამო“ (ზაგრები) — „ასტრა“ 5:1.

„ე“ ჯგუფი. „ეინდჰოვენი“ — „ეშტორილი“ 1:0, „პანათინაიკოსი“ — „დინამო“ (მოსკოვი) 1:2.

„ვ“ ჯგუფი. „ყარაბაღი“ — „სენტ ეტიენი“ 0:0, „დნიპრო“ — „ინტერი“ 0:1.

„ზ“ ჯგუფი. „სევილია“ — „ფეიენოორდი“ 2:0, „სტანდარდი“ — „რიეკა“ 2:0.

„თ“ ჯგუფი. „ლილი“ — „კრასნოდარი“ 1:1, „ევერტონი“ — „ვოლფსბურგი“ 4:1.

„ი“ ჯგუფი. „ნაპოლი“ — „სპარტა“ 3:1, „იანგ ბოიზი“ — „სლოვანი“ 5:0.

„კ“ ჯგუფი. „რიუ ავე“ — „დინამო“ (კიევი) 0:3, „სტიაუა“ — „ოლბორგი“ 6:0.

„ლ“ ჯგუფი. პაოკი — „დინამო“ (მინსკი) 6:1, „ფიორენტინა“ — „გენგამი“ 3:0.

„მ“ ჯგუფი. „ლეგია“ — „ლოკერენი“ 1:0, „მეტალისტი“ — „ტრაბზონსფორი“ 1:2.

გიორგი ფოთაძე

◎ ინტერნეტიდან

მომხიბვლელი ნატალი ვებერი

არგენტინელი ფეხბურთელის მაურო სარატეს საფეხბურთო კარიერა დიდ ბრიტანეთში გრძელდება, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ მისი სპორტული კარიერა ბოლო დროს აღმავლობის გზაზეა. სამაგიეროდ, ცოლი ჰყავს ისეთი ცნობილი და წარმატებული, თუნდაც ამით განიქარვებს ყოველივე დარდს.

მაუროს მეუღლე ცნობილი მოდელი ნატალი ვებერი გახლავთ, რომელმაც არგენტინელ მობურთალს ცოტა ხნის წინათ შვილიც გაუჩინა. ბავშვის დაბადებამდე სარატე და ნატალი ერთადაც კი არ ცხოვრობდნენ და მხოლოდ ვნებიანი პაემნებით შემოიფარგლებოდნენ, მაგრამ შვილმა ყველაფერი შეცვალა.

ნატალი ვებერი ამჟამად ტანსაცმლის ცნობილი ბრენდების სახეა და ქალის საცვლების საკუთარი ხაზიც აქვს, თუმცა, მისი პოპულარობა მაინც ჟურნალებისათვის პოზიორობამ განაპირობა. სხვათა შორის, სარატეს მეუღლე აღიარებს, რომ ფეხბურთი დიდად არ ესმის და მისი საფეხბურთო განათლება მხოლოდ ქმრის ქომაგობით შემოიფარგლება.

როსტომ რაჭველიშვილი

შვილები მამუკა, სოფიკო ხაზარაძეები, სიძე ბადრი ჯაფარიძე, რძალი ირინა ხიდაშელი, მაზლები გიორგი, თემურ ხაზარაძეები, შვილიშვილები, მაზლიშვილები, ახლო ნათესავები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზაირა ჟაკოს ასული ხუნდაძე-ხაზარაძე

გამოსვენება 20 IX, 14 სთ. წმინდა პანტელეიმონ მკურნალის ეკლესიიდან (ვერაზე).

რეზო ამაშუკელი გამოთქვამს მწუხარებას და სამძიმარს უცხადებს მამუკა ხაზარაძეს დედის

ზაირა ხუნდაძე-ხაზარაძის

გარდაცვალების გამო.

ბელა ლოლაძე, ომარ, ზურაბ, გიორგი მარგველაშვილები ოჯახებით თანაუგრძნობენ მამუკა ხაზარაძეს დედის, უკეთილშობილესი ქალბატონის

ზაირა ხუნდაძე-ხაზარაძის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუგრძნობს ბატონ მამუკა ხაზარაძეს დედის

ზაირა ხუნდაძე-ხაზარაძის

გარდაცვალების გამო.



საქართველოს მხატვართა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, თბილისის სიმბოლიკის ავტორი, ღირსების ორდენის კავალერი, თბილისის საპატიო მოქალაქე, თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი, იყალთოს აკადემიის აკადემიკოსი ბატონი

ემირ ბურჯანაძე

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „მამულიშვილთა გახსენება“ და მისი პრეზიდენტი ბონდო კობაძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ცნობილი ქართველი მხატვრის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატის, თბილისის საპატიო მოქალაქის, პროფესორ

ემირ ბურჯანაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ მის უკეთილშობილეს მეუღლეს ქალბატონ ფატის, შვილებს, ახლობლებსა და სრულიად საქართველოს.

ხობის საერთაშორისო ფესტივალის „სიმღერა სამეგრელოზე“ საორგანიზაციო ჯგუფი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ფესტივალის სიმბოლიკის ავტორის, ხობის საპატიო მოქალაქის, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ბატონ

ემირ ბურჯანაძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

„ფაზისის“ საერო აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი მხატვარი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენოსანი

ემირ ბურჯანაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

◎ ინფორმაცია

საქართველოში მყოფ 46 უცხოელს „ებოლას ვირუსზე“ დაკვირვება მოეხსნა

„ებოლას“ ვირუსის კუთხით მაღალი რისკის მქონე ქვეყნებიდან, საქართველოში 73 ადამიანია შემოსული, – ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ განაცხადა.

მისი განმარტებით, შემოსულთაგან უმეტესობა ნიგერიელია. 46 მათგანზე უკვე მოხსნილია ზედამხედველობა, რადგან ინკუბაციური პერიოდი გავიდა.

ჯანდაცვის მინისტრის თქმით, ამ დროისთვის საქართველოში დაფიქსირებული ვირუსის არც ერთი შემთხვევა არ არის.

ინტერპრესი

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“

გ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77; 568 82-09-84..

საქმე №1/51-2014

საარბიტრაჟო დადგენილება

შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

9 სექტემბერი 2014 წელი ქ. თბილისი

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „ნოვა კრედიტი“

საარბიტრაჟო მოპასუხე: მერაბ ბოლქვაძე, შპს „ლებრონი“

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია

არბიტრაჟმა განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2014 წლის 11 ივნისს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი“ სარჩელი მოპასუხის მერაბ ბოლქვაძისა და შპს „ლებრონის“ მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელის განმარტებით, 2011 წლის 21 აპრილს ერთის მხრივ, შპს „ნოვა კრედიტსა“ და მეორეს მხრივ, მერაბ ბოლქვაძესა და შპს „ლებრონს“ შორის დაიდო სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება №041110018, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა“ მსესხებელზე გასცა 15600 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 84 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 21.05.2011წ.

სესხის გადახდა უზრუნველყოფილია მოპასუხეთა საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებით. კერძოდ ხელშეკრულების თანახმად გირავნობის საგანს წარმოადგენს მექანიკური სატრანსპორტო საშუალება:

1) მარკა,მოდელი: ნისან პესფაინდერი S; ტიპი: მსუბუქი მაღალი გამავლობის; ტრანსპორტის გამოშვების წელი: 1999; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო (შასის) №JN1VAWR50U0005556. სარეგისტრაციო მოწმობა: AV0670060, სარეგისტრაციო ნომერი: MJB001. მესაკუთრე მერაბ ბოლქვაძე.

2) მარკა, მოდელი: მიცუბიში ქანთერი; ტიპი: ცისტერნა; ტრანსპორტის გამოშვების წელი: 1996; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო (შასის) №FE517B521366. სარეგისტრაციო მოწმობა: BV0407099, სარეგისტრაციო ნომერი: BTM756. მესაკუთრე შპს „ლებრონი“.

საკრედიტო ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა, კერძოდ, ისეთ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას დააღვევს, მას დაერიცხება პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0.3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეზე გადახდის დაკისრება და გირავნობის საგნის რეალიზაცია.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე შპს „ლებრონს” ორჯერ გაეგზავნა სარჩელში მითითებულ მის იურიდიულ მისამართზე: ხელვაჩაურის რ-ნი, დ. აღმაშენებლის 42-ში, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა იმ მიზეზით, რომ ის მითითებულ მისამართზე არ იმყოფებოდა და მისი მოძიება ვერ მოხერხდა. ასევე ვერ ჩაბარდა უწყება მოპასუხე მერაბ ბოლქვაძეს, რომელიც მისი რეგისტრაციის მისამართზე ვერ იქნა მოძიებული.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე მერაბ ბოლქვაძესა და შპს „ლებრონს“ მათ წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და სხდომის დღე ეცნობოთ შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე მერაბ ბოლქვაძე რეგისტრაციისა და ამავდროულად მის უკანასკნელ საცხოვრებელ მისამართზე არ იმყოფება, ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია. ასევე უცნობია მოპასუხე შპს „ლებრონის“ ფაქტობრივი ადგილსამყოფელი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება, ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე შპს „ლებრონს“ (ს.კ. 248420392) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტის“ სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

2. შპს „ლებრონს“ განემარტოს, რომ გზავნილის ჩაბარებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე შპს „ლებრონსა“ და მერაბ ბოლქვაძეს (პირადი №61002005116) ეცნობოთ, რომ 2014 წლის 10 ოქტომბერს 12:00 საათზე შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69, დანიშნულია საარბიტრაჟო სხდომა შპს „ნოვა კრედიტის“ სარჩელზე – სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით მერაბ ბოლქვაძისა და შპს „ლებრონის“ მიმართ.

5. მერაბ ბოლქვაძესა და შპს „ლებრონს“ ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო სხდომაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

◎ სულიერება

შობა ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა ღვთისმშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამისა (დიდუბობა)

21 სექტემბერს მართლმადიდებელი სამყარო, საქართველოს წმინდა სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობენ ყოვლადმწიდა ღვთისმშობლის შობას.

...ძე ღმრთისამ, იმისთვის რომ, მოდგმის ხსნა შესძლებოდა, ადამიანური ბუნების მიღება ინება და დედად ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი გამოარჩია.

მარიამ ღვთისმშობელი დაიბადა ნაზარეთში. ის გამოვიდა ოდესღაც ცნობილი დავითის ტომიდან.

ყოვლადწმიდა მარიამის მშობლები იყვნენ მართალი იოაკიმე და ანნა. ეს ღმრთის მოშიშნი მეუღლეები უშვილონი იყვნენ. ასე მიაღწიეს ხანდაზმულ ასაკს, მაგრამ ჰქონდათ ღმერთის იმედი, რომ ის მათ უშვილობის მძიმე ხვედრისგან გაათავისუფლებდა.

...უფალმა შეისმინა ცოლ-ქმრის ვედრება. მთავარანგელოზმა გაბრიელმა ახარა ანას, რომ იგი მალე დედა გახდებოდა, ხოლო მისი ნაშობი ქვეყანასა ზედა განდიდდებოდა. გავიდა ხანი და წმინდა ოჯახს შეეძინა ღვთის ნაბოძები — ასული — იესო ქრისტეს მომავალი დედა. სახარების მიხედვით, მას კურთხეული და მიმადლებული ეწოდა იმ დღიდანვე, როდესაც მასში ქვეყნიერების მხსნელი ჩაისახა.

მარადის ქალწულს, მარიამის შობის ხსენება უძველესი დროიდან, ჯერ კიდევ IV საუკუნიდან დადგინდა.

ეს უდიდესი დღესასწაული, რომელიც საუფლო დღესასწაულს უტოლდება, სიხარულის დღესასწაულია!

ქრისტიანთა ამ უდიდესი დღესასწაულს განსაკუთრებული საზეიმო, წირვა-ლოცვით ხვდებიან დიდუბის (მარიამ ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში), ასევე შუამთის, ბეთანიის, გელათის და სხვა ტაძრებში...

22 სექტემბერს კი ეკლესია მარიამ ღვთისმშობლის მშობლების მართალი იოაკამეს და ანას ხსენებას დღესასწაულობს.

გიული ლიპარტია

◎ ფრაზები

სხვათაგან თქმული

ზრდასრულობას მაშინ აღწევენ, როცა იცი, უწინარესად ვისგან უნდა ელოდო უსიამოვნებას: შვილიშვილებისგან თუ მშობლებისგან.

მარადიული ახალგაზრდობის საიდუმლო იმაში მდგომარეობს, რომ იცხოვრო სათნოდ, ჭამო ნელა და იცრუო შენ ასაკთან დაკავშირებით.

შეუძლებელია ყველა ქალის გადაყვარება, მაგრამ ამას უნდა ესწრაფოდე.

სხვათა სისულელეებს ჯერჯერობით არცვინ ჭკვიანი არ გაუხდია.

უკეთეს იდოტს ედავები, სცადე თავის დარწმუნება, რომ ისევ იმას ხომ არ სჩადის.

ისე უნდა იცხოვრო, რომ არამზადებსაც ახსოვდე.

გაახალგაზრდავების ერთადერთი ხერხია ახალგაზრდა გოგოების დევნა.

ჩვენ იოლ გზებს არ ვეძებთ, მაგრამ თუ გადავეყარეთ, არ გადავუხვევთ.

ცხოვრებაში ხან ყველაფერი ისე აეწყობა ხოლმე, რომ მერე შეუძლებელი ხდება დაშლა.

რაც უფრო მეტხანს ჩაიცქირები პატიოსან თვალებში, მით უფრო ძნელია სარკისთვის მზერის მოწყვეტა.

უკეთუ არ შეგიძლია ქალის დარწმუნება, რომ ის ერთადერთია, ნუღარ ეცდები იმის ნუგეშისცემას, რომ ის ყველაზე უკეთესია.

ვითომ შეიძლება სადმე ისე ცხოვრება, რომ გული არ გატკინონ...

ერთხელაც ერთ ადამიანურ ხასიათში შეხვდნენ ერთმანეთს ვირი, ცხვარი და ღორი...

ცხოვრება მანამ გასწავლის, სანამ მეცადინეობიდან გაგიყვანენ...



საჭმელი ჩვენს აზრებში უფრო მეტ ადგილს იჭერს, ვიდრე ჩვენს სხეულში.

ცხოვრების მდინარე ხშირად ჩვენს ბავშვობას უერთდება.

ამძვეძნად გაღარიბების უფრო მეტი პატიოსანი გზაა, ვიდრე გამდიდრების.

ფლირტი პოკერს იმითაც მოგვაგონებს, რომ საფუძვლად მუდამ ბლეფი აქვს.

ვისაც უკვდავება სწამს, უკვდავია, სანამ ცოცხალია.

ძორწინება, მართალი თუ გინდათ, ბოროტებაა, მაგრამ აუცილებელი ბოროტება...

გოგონას ერთგვარი გამოცდილება სჭირდება იმისთვის, რომ დამწყებივით იკოცნაოს.

სიბერე ქვიშის საათია. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ სიბერეში ქვიშა გარეთ იყრება...

სხვისი ნაკლოვანებები ხშირად ჩვენს ღირსებად მიგვაჩნია.

ძალაუფლება ყველაზე გადამდები სენია დედამიწის ზურგზე...

ძალები სიზმრებსავით არიან, არასოდეს ისეთებად არ გვეჩვენებიან, როგორების ნახვაც გვინდოდა.

სრული სიმართლის თქმა მხოლოდ ორი გზით შეიძლება. ანონიმურად და სიკვდილის შემდგომ.

ინოვაციურ ფოცხს თუ აბიჯებ — მაშასადამე, თანამედროვეობას კვალში მისდევ.

როგორც წესი, სიბრძნე მარტო არ მოდის, ძალიან ხშირად უკან თითზე კბენანი მოსდევს.

განა შეიძლება სასწორთან მეგობრობა?! ერთი ციცქნა ზედმეტიც რომ შეგეჭამოს, ეგრევე გაგცემს.

ზოგიერთ პარლამენტს რომ უყურებ, გინდა, რომ პერსონალურად დაარიგო მახათები მამაკაცთათვის, ხოლო ქალთათვის მზესუმზირა.

ზოგი კაცი ლოგინში ყავასა ჰგავს, თვალს მოარიდებ თუ არა, უკვე გადმოსულია.

ქალიან ძნელია, რომ იწვოდე სამსახურში, რადგან 26 პროცენტი წყალი ხარ.

ზოგი არწივი ნამდვილი ბატია.

თუ ხელისუფლება არ იშლის ჩვენს დაპირებებით ჭმევას, მაშასადამე, ჯერ კიდევ ვჭირდებით.

ხშირად სკანდალის ინიციატივა მამაკაცს ეკუთვნის, ხოლო ხმოვანი გაფორმება — ცოლს.

შეკრიბა
გურამ წიკლაურმა

◎ ინფორმაცია

საბაჟოზე დიდი რაოდენობით ოქროს ნაკეთობები გადმოჰქონდა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, საბაჟო კონტროლისაგან ფარულად, განსაკუთრებით დიდი ოდენობის ოქროს ნაკეთობების გადმოტანის ფაქტზე, ერთი მოქალაქე დააკავა.

ბრალდებულმა საქართველოს საბაჟო გამშვები პუნქტი „წითელი ხიდის“ გადმოკვეთისას საბაჟო კონტროლისაგან მალულად, სპორტულ ფეხსაცმელში სპეციალურად მოწყობილი სამალავის გამოყენებით, საქართველოს ტერიტორიაზე შემოიტანა განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხის ღირებულების ოქროს ნაკეთობები.

ბრალდებული განუბაჟებელ ნივთებთან ერთად საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა საზღვრის გადმოკვეთის შემდეგ აიყვანეს, ხოლო ამოღებული ოქროს ნაკეთობების ღირებულების დასადგენად დანიშნულია ექსპერტიზა.

დანაშაული ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5-დან 7 წლამდე.

კახეთში ნარკორეალიზატორები დააკავეს

შსს-ს ინფორმაციით, დაკავებულია 1983 წელს დაბადებული, წარსულში ხულიგნობისთვის ნასამართლევი ასლან ფ. დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ბრალდებით, ხოლო 1986 წელს დაბადებული ლევან ა. ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით სიღნაღის რაიონის სოფელ ერისიმედში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ასლან ფ-მ დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების რეალიზაცია მოახდინა. სამართალდამცველებმა დაკავებულების პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას დიდი ოდენობით მარიხუანა და ნარკოტიკის რეალიზაციის შედეგად მიღებული ფული ამოიღეს.

გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ ასლან ფ. სისტემატურად ახდენდა ნარკოტიკული საშუალების რეალიზაციას.

ექსპერტიზის დასკვნით, ასლან ფ-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებულია 38,9602 გრ, ხოლო მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას 294,47 გრ ნედლი მარიხუანა.

ლევან ა-ს პირადი ჩხრეკისას კი 21,54 გრ ნედლი მარიხუანა ამოიღეს. ნარკოლოგიური შემოწმებისას ორივე დაკავებულს მარიხუანის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77; 568 82-09-84..

პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** ეს მხოლოდ **ინფორმაციაა**...

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად ღირსეულად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, თევდორე მღვდლის 13 (აკადემიკოს ფრიდონ თოდუას კლინიკის გვერდით). ტელ.: (995 32)224 00 99, 224 00 98.

◎ ციníცხალი ანეკდოტები

— მამი, ვინ არის მამაკაცი?

— აბა, როგორ გითხრა... ეს არის ძლიერი ადამიანი, რომელსაც უყვარს თავისი ოჯახი, იცავს და ზრუნავს მასზე!

— მაგარია! მეც მინდა, გავხდე დედაჩემივით მამაკაცი.

* * *

— გაზეთებში ისეთ საშინელებებს წერენ... შეიძლება ჩაისვარო კაცმა.

— ამიტომაც კითხულობს ჩვენი ხალხი მათ ტუალეტებში...

* * *

— როგორ მიანდეთ ჩემთვის ოპერაციის გაკეთება სტუდენტს?

— სტუდენტებმაც ხომ უნდა გაიწაფონ ხელი, თანაც თქვენი შემთხვევა ძალიან ჭკუის სასწავლებელი იყო.

— მაგრამ, ექიმო...

— მე ექიმი კი არა, პეტრე მოციქული ვარ.

* * *

— ბავშვებო, ჩვენი სტუმარი მიდის, რა უნდა თქვათ? — ეუბნება დედა შვილებს.

— მადლობა ღმერთს!

* * *

დასვენება გადავწყვიტე. წავედი ტყეში. მაგრამ ისინი იქ უკვე მელოდნენ და გაუფრთხილებლად დამესხნენ თავს. გავიქეცი. აგარაკზე წავედი, იქაც მიპოვეს და საქმე სისხლამდე მივიდა. სალამოს სასეირნოდ გამოვედი, ღმერთო, საიდან გაიგეს ეს?

საინტერესოა, არის კი სადმე ქვეყანა, სადაც კოლოები არ არიან?

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24